# ავტონომია

გამოცემის 103-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის პარასკევობით

№9 (25.137) 8 მარტი, 2024 წ. 50 თეთრი


**გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით**

დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 10-15, მთიან რაიონებში - 7-12 გრადუსი სითბო. ზღვის წყლის ტემპერატურა 10 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 770 მილიმეტრი.

ხვალ ამინდი შენარჩუნდება, ზეგ მოსალოდნელია დროგამოშვებით წვიმა.

## გიყოფილებთ ქალთა საერთაშორისო დღეს - 8 მარტს!

# მთავრობის თავმჯდომარე შვედეთის სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს შეხვდა

***აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე შვედეთის სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში ანა ლიბერგს შეხვდა***

ინფორმაციას მთავრობის პრესსამსახური ავრცელებს. თორნიკე რიჟვაძემ შვედ დიპლომატს საქართველოში ელჩის თანამდებობაზე დანიშვნა მიულოცა და მომავალ საქმიანობაში წარმატება უსურვა.

ასევე, მადლიერებით აღნიშნა შვედეთის ურყევი მხარდაჭერა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი. აჭარის მთავრობის თავმჯდომარის თქმით, შვედეთი საქართველოს მტკიცე მხარდამჭერია და მნიშვნელოვანია მისი ჩართულობა საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესში.

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ ელჩს აჭარის ტურისტული პოტენციალი და საინვესტიციო გარემო გააცნო. მხარეები მიესალმნენ საქართველოსა და შვედეთს შორის არსებულ მჭიდრო, მეგობრულ კავშირებსა და ნაყოფიერ თანამშრომლობას. ხაზი გაესვა თანამშრომლობის მნიშვნელობას ისეთ სფეროებში, როგორიცაა გარემოს დაცვა, კლიმატის ცვლილებები და ჰაერის მონიტორინგი.

# ლეგენდები – ბათუმში, ანუ დიდი მატჩი...

**მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97**

დიდი მოლოდინი დასრულდა, ბათუმი არენაზე გულშემატკივარმა საქართველოს ნაკრებისა და მილანის „ინტერის“ ლეგენდები იხილა, მატჩი „სპორტ ორიენტის“ (დამფუძნებელი - ოთო მუმლაძე) ორგანიზებით, მისივე ახალი პროექტითა და „ევროპაბეთის“ მხარდაჭერით გაიმართა. ეს იყო ლეგენდების სერიის პირველი მეგობრული სანახაობრივი მატჩი, რომელიც დიდ ინტერესს იწვევდა - მატჩის ყველა ბილეთი ადრევე გაიყიდა. როგორც „სპორტ ორიენტის“ დამფუძნებელმა აღნიშნა, ამ პროექტით სურდა იმ ფეხბურთელების ერთად შეკრება, ვინც სხვადასხვა დროს დიდი სიხარული მიანიჭა ქართველ გულშემატკივარს და არა მარტო მას. მატჩის დაწყებამდე, მედიის წარმომადგენლებისთვის სასტუმროში „რუბსი“ პრესკონფერენცია მოეწყო, რომელსაც გუნდების ორ-ორი წევრი დაესწრო, სტუმართაგან - ხავიერ ძანეტი, მარკოს მატერაცი, მასპინძელთაგან - კახა კალაძე, არჩილ არველაძე. ისინი მიესალმნენ შეკრებილებს და შემდეგ რამდენიმე შეკითხვას უპასუხეს.

**აჩი არველაძე:**

- მჯერა, რომ ეს მატჩი მეგობრული, მხიარული იქნება. ჩვენი სტუმრები ბათუმში დროს გაატარებენ. სასიამოვნოა, რომ ასეთი ლამაზი ქალაქი გვმასპინძლობს. დარწმუნებულნი ვართ, რომ ჩვენს სტუმრებსაც მოეწონებათ ბათუმის სტადიონი. მინდა ხვალინდელი დღე ყველასთვის საზეიმო იყოს. სპორტსმენისთვის ყველაზე დიდი ბედნიერება გულშემატკივარია და ბათუმიც იმიტომ დასახელდა, რომ აქ გამორჩეული გულშემატკივრობა იციან, სტადიონიც არაჩვეულებრივია და საუკეთესო თამაშს (სანახაობრივადაც) ველოდებით. მთავარი და მნიშვნელოვანი ისაა, რომ თამაშს დამარცხებული არ ეყოლება. დარწმუნებული ვარ, რომ ეს იქნება კარგი, მეგობრული თამაში.

იხ. გვ-9 ბ3.

# პლენარული სხდომა ოპოზიციამ პროტესტის ნიშნად დატოვა

**ნანა აბულაძე 577 20 35 90**

აჭარის საკანონმდებლო ორგანოში საგაზაფხულო სესია პლენარული სხდომით გაიხსნა, სადაც დღის წესრიგით გათვალისწინებული ერთი საკითხი განიხილეს. იგი საჯარო სამსახურის საბჭოს წევრის არჩევას ეხებოდა. თუმცა აღნიშნული საკითხის განხილვამდე დეპუტატებმა განცხადებები გააკეთეს. პირველი განცხადებით მმართველი გუნდის წევრი ვლადიმერ მგალობლიშვილი წარსდგა, რომელმაც მიხეილ საკაშვილზე და მის პოლიტიკაზე ისაუბრა, გაიხსენა გირგვლიანის მკვლელობა. აღნიშნა, რომ საკაშვილი ციხეში არა „პიჯაკების საქმის“ გამო ზის, როგორც ამაზე მისი მომხრეები აპელირებენ, არამედ იმ დანაშაულებრივი ქმედებების გამო, რომლებიც ჩაიდინა.

- საკაშვილის ნულოვანი ტოლერანტობის იდეამ იმსხვერპლა და გააუბედურა ათასობით ადამიანი. გვახსოვს, მის მიერ შექმნილი სისტემა როგორ არაადამიანურ პირობებში ამყოფებდა პატიმრებს. გარდა აღნიშნული დანაშაულებისა, ის სისტემური წამებისა და ძალადობის მთავარი არქიტექტორი და შემოქმედი იყო. საკაშვილის ჰუმანიტარული მიზნებით გათავისუფლების მოთხოვნა ქართველი ხალხისა და მისი რეჟიმის მსხვერპლთათვის სულში ჩაფურთხებაა, - განაცხადა მგალობლიშვილმა.

იხ. გვ-9 ბ3.

ISSN 2720-8702

9 772720 870003


## გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

# რას გულისხმობდა სალომე ზურაბიშვილი, როცა პატრიარქის სისუსტეზე საუბრობდა?

თამარ ლამპარაძე 595 85 80 06

***კვირის ერთ-ერთი მთავარი თემაა საქართველოს პრეზიდენტ, სალომე ზურაბიშვილის ვიზიტი ლონდონში, სადაც მან, Chatham House-ს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაზე, მნიშვნელოვანი განცხადება გააკეთა***

აღნიშნულ შეხვედრაზე პრეზიდენტს ასეთი შეკითხვა დაუსვეს: „ზოგიერთი საქართველოს ეკლესიას ხედავს, როგორც რუსეთის რბილ ძალას, რომ რუსეთი უფრო და უფრო მეტ გავლენას ახდენს საქართველოს ეკლესიაზე. პატრიარქი მოხუცია და არსებობს შიში, რომ როდესაც ის გარდაიცვლება, და ღმერთმა არ ქნას, ეს მალე მოხდეს, შესაძლოა, საქართველოს ეკლესიაში პროორუსული ტენდენცია გაჩნდეს, იმ ეკლესიაში, რომელსაც ჯერ კიდევ დიდი გავლენა აქვს საქართველოს საზოგადოებაზე?“ პრეზიდენტის პასუხი ასეთია: „ამის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი არის პატრიარქის სისუსტე. იმ პატრიარქისა, რომელმაც ეკლესიის გეზი ძალიან მტკიცედ შეინარჩუნა. ჩემი აზრით, მართლმადიდებელი ეკლესია, ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა მართლმადიდებელ ქვეყანაში, ძალიან ახლოს არის ხელისუფლებასთან და მიდრეკილია, მიჰყვეს აქცენტებისა და ნიუანსების ცვლილებას. ამიტომ იმედი მაქვს, რომ ეკლესიაც მიჰყვება პროდასავლურ რიტორიკას. ვინაიდან მე გახლავართ ოპტიმისტი და მჯერა საქართველოს მედეგობის, იმედი მაქვს, საქართველოს ეკლესიაც შეძლებს, აირჩიოს პროქართველი და პროევროპელი პატრიარქი და არა პრორუსი“, - აღნიშნა სალომე ზურაბიშვილმა. ცოტა ხნის შემდეგ პრეზიდენტის ადმინისტრაციამ სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა განცხადება, რომ სალომე ზურაბიშვილი პატრიარქის სისუსტეში მხოლოდ ფიზიკურ სისუსტეს გულისხმობდა, მეტი განმარტება სალომე ზურაბიშვილისგან აღარ გაკეთებულა. ფაქტი ერთია, აღნიშნულმა განცხადებამ როგორც პოლიტიკურ სპექტრში, ასევე საპატრიარქოში ბევრი კითხვის ნიშანი დატოვა, რასაც მოწმობს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელ ანდრია ჯაღმაიძის საჯაროდ დაწერილი პოსტი სოციალურ ქსელში.

„პირველ რიგში, პრეზიდენტისთვის, მით უმეტეს, რომ მას თავი ეკლესიის მრევლად მიაჩნია, ეთიკას მოკლებულია მოქმედი პატრიარქის სისუსტეზე და პატრიარქის ცვლილებაზე საუბარი. სხვა საკითხია, რომ ეს ეკლესიის საქმეებში უხეში ჩარევაა.

გაუგებარია, რას გულისხმობდა ქალბატონი პრეზიდენტი „ეკლესიის ძველ მეთოდებზე“, ისევე, როგორც ეკლესიის მხრიდან „პროდასავლური რიტორიკის მიყოლის“ შესახებ საუბრისას. რას ნიშნავს ეკლესია „ახლოსაა ძალასთან“?

სამწუხაროა, ასეთი ზედაპირული და შაბლონური დამოკიდებულების მოსმენა პრეზიდენტის სიმაღლიდან. ქართულ ეკლესიაში პროქართულ, პროევროპულ თუ პრორუსულ არჩევანზე საუბარი ჩრდილს აყენებს და აკნინებს არა იმდენად ეკლესიას, რამდენადაც თავად კომენტარის ავტორს“, - განაცხადა ჯაღმაიძემ.

რაც შეეხება მმართველ პარტიას, აქ ამბობენ, რომ ასეთი განცხადებით პრეზიდენტი საკუთარ იმიჯს აზიანებს, რადგან შეურაცხყოფს პატრიარქს.

„კომენტარის გაკეთებაც კი არ შეიძლება განცხადებაზე, რომელიც სალომე ზურაბიშვილმა საპატრიარქოსთან დაკავშირებით გააკეთა - ასეთი განცხადებები გამაოგნებელია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამით საკუთარ იმიჯს აზიანებს“, - აღნიშნა პრემიერმა ირაკლი კობახიძემ.

რაც შეეხება კახი კალაძეს, მან აღნიშნა, რომ ილია მეორემ გააძლიერა ქართული ეკლესია და საერთოდ, ეკლესია და სარწმუნოება ძალიან სენსიტიური თემებია.

კვლავ განსხვავებული მოსაზრებაა ოპოზიციურ პარტიებში. ოპოზიციაში ამბობენ, რომ სალომე ზურაბიშვილი მმართველი გუნდის მხრიდან ისევ თავდასხმის ობიექტია. როგორც ვხედავთ, ერთ დროს ოპოზიციის სალანძღავი პრეზიდენტი, ამჟამად ოპოზიციის დასაცავი გახდა.

„მართლმადიდებელი ეკლესია არის ჩვენი ეროვნული იდენტობის უმნიშვნელოვანესი ნაწილი და ძალიან ძვირფასია საქართველოს მოქალაქეთა უდიდესი ნაწილისთვის. ზურაბიშვილის ღია განცხადებები ივანიშვილის ოლიგარქიულ მმართველობასთან და პრორუსულობასთან დაკავშირებით, გახდა სინამდვილეში ამ თავდასხმის მიზეზი“, - აღნიშნა პარლამენტის ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - ძალა ერთობაშია“ თავმჯდომარე თინა ბოკუჩავამ.

„სტრატეგია აღმაშენებლის“ წევრ პაატა მანჯგალაძის თქმით, მმართველი გუნდის მხრიდან ზურაბიშვილის წინააღმდეგ მიმართული განცხადებები ფარისევლობაა.

„ეს არის ფარისევლობა. საპატრიარქოს ყველაზე დიდი ზიანი მიაყენა „ქართულმა ოცნებამ“, როცა საიდუმლო ჩანაწერები გამოაქვეყნეს, როგორ უსმენდნენ პატრიარქს, როგორ უსმენდნენ ეპისკოპოსებს. ამ ჩანაწერებში დასტურდება, რომ აღსარების საიდუმლოებებიც კი გაამჟღავნეს, რომლებიც დაცულია ქრისტიანული ტრადიციით“, - აცხადებს პაატა მანჯგალაძე.

მოვუსმინოთ, რას ფიქრობენ ამ საკითხზე ბათუმელი პოლიტიკოსები.

იხ. მე-3 გვ.

## ქრონიკა

„ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი ღარიბაშვილი, პარტიის აღმასრულებელი მდივანი მამუკა მდინარაძე და რეგიონული მდივანი დიმიტრი სამხარაძე ბათუმის, ქობულეთის, ხულოს, შუახევის, ქედისა და ხელვაჩაურის პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელებს და პარტიულ აქტივს შეხვდნენ. „ქართული ოცნების“ პრესსამსახურის ინფორმაციით, ბათუმში გამართულ პირველ შეხვედრას აჭარის რეგიონული ორგანიზაციის ლიდერი, აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიუკაძე, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე, საპარლამენტო უმრავლესობის წევრები ალექსანდრე ტაბატაძე, რესან კონცელიძე, ანზორ ბოლქვაძე ესწრებოდნენ. შეხვედრის მთავარი საკითხი 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის მზადება იყო. პარტიის თავმჯდომარე ირაკლი ღარიბაშვილმა და აღმასრულებელმა მდივანმა მამუკა მდინარაძემ აღნიშნეს, რომ მმართველი პარტიის მიზანია ამ არჩევნებზე საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვება. „უნდა მოვიგოთ ძლიერად, დამაჯერებლად და მივიღოთ საკონსტიტუციო უმრავლესობა“, - აღნიშნა „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი ღარიბაშვილმა. აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა, რომ მიესალმება „ქართული ოცნების“ რეგიონული შეხვედრების აჭარიდან დაწყებას. „ჩვენს მხარდამჭერებს, აქტივს ვესაუბრეთ იმ მიმდინარე აქტუალურ საკითხებზე, რომლებიც მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის, ჩვენი ხალხისთვის. ძალიან მალე დავიწყებთ აქტიურ მზადებას არჩევნებისთვის და ამ ერთიანობით შევძლებთ, კიდევ ერთი, მორიგი დამაჯერებელი გამარჯვება ვიზეიმოთ“, - აღნიშნა თორნიკე რიუკაძემ.

* * *

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიუკაძე ნატოს სამეკავშირეო ოფისის ხელმძღვანელს საქართველოში ალექსანდრე ვინიკოვს შეხვდა. ინფორმაციას მთავრობის პრესსამსახური ავრცელებს. მათი ცნობით, აჭარის მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე მხარეებმა მიმოიხილეს თანამშრომლობის საკითხები. თორნიკე რიუკაძემ აღნიშნა, რომ ნატოს გემების რეგულარული ვიზიტები საქართველოს შავი ზღვის პორტებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შავი ზღვის უსაფრთხოების განმტკიცებისთვის. შეხვედრაზე ხაზი გაესვა ნატო-საქართველოს ურთიერთობების განვითარების საკითხს. ასევე, მხარეებმა იმსჯელეს თანამშრომლობის სამომავლო პერსპექტივებზე.

* * *

კახაბრის დასახლებაში წყალმომარაგების ახალი ქსელის მშენებლობა დაიწყო. მშენებლობის პროცესი ქალაქ ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა დაათვალიერა. მისი თქმით, ამ დრომდე აღნიშნულ ტერიტორიაზე წყალმომარაგების ქსელი არ არსებობდა. სამუშაოების დასრულების შემდეგ კი უწყვეტი წყალმომარაგებით 500-მდე ოჯახი ისარგებლებს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პროექტი ითვალისწინებს 300 კუბური მეტრი რეზერვუარის, საწნეო ხაზისა და გამანაწილებელი ქსელის მშენებლობას. სამუშაოები მომავალ წელს დასრულდება. ცნობისათვის: ამავე პროექტის ფარგლებში, ზედა მახინჯაურში წყალმომარაგების რეზერვუარისა და გამანაწილებელი ქსელის მშენებლობა დაიწყო, რომლითაც 150 ოჯახი ისარგებლებს. პროექტების ღირებულება 3 მილიონ 700 ათასამდე ლარს შეადგენს.

* * *

კოლეჯმა „ბლექსმ“, არაფორმალური განათლების აღიარების პროგრამის ფარგლებში, 20 მაძიებელს კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი (სერტიფიკატი) გადასცა. ინფორმაციას კოლეჯი „ბლექსი“ ავრცელებს. მათი ცნობით, 2023 წელს კოლეჯ „ბლექსში“, აჭარის დასაქმების სააგენტოს მიზნობრივი პროგრამის „დასაქმების ხელშეწყობა პროფესიული მომზადება/გადამზადების გზით“ ფარგლებში, არაფორმალური განათლების აღიარება 4 პროგრამაზე: კულინარიის ხელოვნება, კონდიტერია, ელექტროობა და შედუღება მიმდინარეობდა. 2024 წლიდან არაფორმალური განათლების აღიარება უკვე 11 პრიორიტეტულ პროფესიაზე იქნება შესაძლებელი.

* * *

ქედის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს პირველი სხდომა გაიმართა, რომელსაც საბჭოს თავმჯდომარე ოთარ ხარაძე უძღვებოდა. სხდომაზე გენდერული თანასწორობის საბჭოს პერსონალური შემადგენლობა დაამტკიცეს, მიმდინარე წელს დაგეგმილ და განსახორციელებელ ღონისძიებებზე იმსჯელეს. სხდომას ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ამირან ცინცაძე და საკრებულოს წევრები ესწრებოდნენ.

- ჩვენი მიზანია, მხარი ავუბათ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს. საბჭოს თითოეული წევრის ჩართულობა ამ პროცესებში სასიკეთოდ წაადგება როგორც მუნიციპალიტეტს, ისე ქვეყანას, უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის ხელშეწყობას და გენდერული პოლიტიკის განხორციელებას, - აღნიშნა ოთარ ხარაძემ.

* * *

დედისა და ქალთა საერთაშორისო დღეებისადმი მიძღვნილი კვირეული ორგანიზებულად მიმდინარეობს ხულოს მუნიციპალიტეტში. მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ ბერიძე, საკრებულოს თავმჯდომარე რენარ ბოლქვაძე, მერის მოადგილე თამაზ აბაშიძე ხულოში მცხოვრებ მრავალშვილიან დედებსა და ეროვნული მეურნეობის სხვადასხვა სფეროში მომუშავე წარმატებულ ქალბატონებს მერიაში შეხვდნენ, დედისა და ქალთა დღეები მიულოცეს და საჩუქრები გადასცეს. გაზაფხულის პირველი დღესასწაულებისადმი მიძღვნილი საინტერესო ღონისძიება გაიმართა ხულოს თეატრში, რომელზეც მიწვეული იყვნენ სხვადასხვა ასაკის მრავალშვილიანი დედები, ცხოვრებითა და შრომით პატივდებული ქალბატონები.

* * *

საქართველოს ტერიტორიულ წყლებში თურქეთის რესპუბლიკის სამხედრო-საზღვაო ძალების ხომალდი შემოვიდა. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ხომალდის ეკიპაჟის წევრებს ბათუმის პორტში შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის დირექტორი, პირველი რანგის კაპიტანი რამაზ პაპიძე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიუკაძე და ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი დახვდნენ. ღონისძიებას დაესწრნენ საქართველოში თურქეთის რესპუბლიკის სრულუფლებიანი ელჩი ალი ქაან ორბაი, გენერალური კონსული ბათუმში რიზა ქაღან ილმაზი, თურქეთის სამხედრო ატაშე, პოლკოვნიკი ილჰან ოქთენდურალი, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორი ალექსი ახვლედიანი და სხვა ოფიციალური პირები. „ვიზიტის მიზანია, ნატოს ოპერაციული შესაძლებლობების კონცეფციის შეფასებისა და უკუკავშირის პროგრამის ფარგლებში, საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის მცურავი საშუალებების „ოჩამჩირე“ და „დიოსკურია“ მეორე დონის თვითშეფასების ჩატარება. აღნიშნული პროცესი ქართველი და ნატოს სამხედრო-საზღვაო ძალების სარდლობიდან მოვლენილი წარმომადგენლების (შემფასებლების) მხარდაჭერით ხორციელდება. ვიზიტის ფარგლებში, სანაპირო დაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელობა თურქული ხომალდის მეთაურობას შეხვდება. გაიმართება ოფიციალური მიღება თურქული ხომალდის ბორტზე. ეკიპაჟის წევრებისთვის დაგეგმილია სხვადასხვა კულტურული ღონისძიება. თურქული ხომალდი ბათუმის ნავსადგურს 10 მარტს დატოვებს“, - აღნიშნულია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

* * *

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შავი ზღვის დაცვის კონვენციური სამმართველოს თანამშრომლებმა, სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებთან ერთად, შავი ზღვის დაბინძურების ფაქტი გამოავლინეს. ინფორმაციას გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი ავრცელებს. მათი ცნობით, კამერუნის დროშით მცურავმა გემმა ზღვა სამეურნეო წყლებით დააბინძურა. სამართალდარღვევის შედეგად გარემოსთვის მიყენებული ზიანის ოდენობამ 2000 ლარამდე შეადგინა. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტისა და სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლების მიერ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის (მუხლი 58 პრიმა 2, მე-7 ნაწილი) საფუძველზე, ფოთის სასამართლომ გემი სამართალდამრღვევად სცნო და 65 ათასი ლარის ოდენობის ჯარიმა დააკისრა..

* * *

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, უკანონო ტყითსარგებლობასთან ბრძოლის ფარგლებში, აჭარაში 3 უკანონო სახერხი საამქრო გამოავლინეს. ინფორმაციას გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი ავრცელებს. მათი ცნობით, შუახევის მუნიციპალიტეტის სოფლებში - მახალაკიძეებში, ჩანჩხალოსა და ოლადაურში, მოქალაქეებს ლენტური ტიპის სახერხი საამქროები საკარმიდამო ეზოებსა და სპეციალურ შენობა-ნაგებობებში ჰქონდათ მოწყობილი. ასევე, სოფელ ოლადაურში, სამართალდამრღვევს, უკანონო სახერხი საამქროს ტერიტორიაზე 13 ერთეული წიწვოვანი სახეობის დაუფირნიშებელი მრგვალი ხე-ტყე (მორი) ჰქონდა განთავსებული.

**მოამზადა**
**ხატია იაშვილმა**

# წინასაარჩევნო ვითარება - საქართველოში

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

***თვალს თუ გადავავლებთ ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებულ პროცესებს, დავრწმუნდებით, რომ პოლიტიკური ველი საკმაოდ დამუხტულია, პარტიები ცდილობენ, მოსახლეობა დაარწმუნონ თავიანთ უპირატესობაში. საარჩევნო ვნებათაღელვა უკვე თვალნათელია. საყურადღებო და მნიშვნელოვანია განხორციელებული სამთავრობო ცვლილებები და ახალი ოპოზიციური პლატფორმის შექმნა***

საქართველო განვითარების ახალ ფაზაშია, პოლიტიკური კალეიდოსკოპი ინტერესს იწვევს სიახლეებით. აქედან უმთავრესია ის, რომ ქვეყანას ახალი პრემიერი ჰყავს, რომელმაც საგარეო და საშინაო პოლიტიკის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი გზავნილი გაახმოვანა: „ჩვენი მიზანი იყო და არის ევროკავშირში გაერთიანება და, ასევე, ნული - სიღარიბე და ნული - ოკუპაცია“... „ქართული ოცნების“ მმართველობის პერიოდში ირაკლი კობახიძე მეექვსე პრემიერია. ეს ხშირი ცვლილება, ოპოზიციის თქმით, მთავრობის არაეფექტურ მუშაობაზე მიუთითებს. ყოფილი პრემიერი აცხადებდა, რომ ქვეყანა თანმიმდევრულად ვითარდება. ისეთი სურათი იქმნებოდა, კაცი იფიქრებდა, რომ მმართველ პარტიას საარჩევნოდ ღარიბაშვილი წარუძღვებოდა, თუმცა ასე არ მოხდა. ექსპერტთა თქმით, ივანიშვილი დარწმუნდა, რომ არჩევნებში ღარიბაშვილის მეთაურობით მონაწილეობა წამგებიანი იქნებოდა ხელისუფლებისთვის. ისიც სათქმელია, რომ ღარიბაშვილს დასავლელ ლიდერებთან კარგი ურთიერთობა არ ჰქონდა (თუ არ ჩავთვლით უნგრეთის პრემიერს). ეს საყურადღებო ფაქტორია, რისი იგნორირებაც მმართველი გუნდისთვის დამაზიანებელი იქნებოდა. სწორედ ამის შესახებ საუბრობს კონფლიქტოლოგი პაატა ზაქარეიშვილი: „ივანიშვილს სჭირდება უფრო ეფექტური გუნდი, ვიდრე ღარიბაშვილს შეიძლებოდა ჰყოლოდა... ამიტომ გადაწყვიტა, არჩევნების წინ მოიყვანოს ახალი გუნდი“. სხვათა შორის, თუ დავაკვირდებით, მმართველი პარტია საარჩევნოდ ყოველთვის ახალი პრემიერ-მინისტრით წარსდგებოდა მოსახლეობის წინაშე (ასე იყო 2016 და 2020 წლებში). ეს ჯერჯერობით ამართლებს. რა იქნება მომავალში, დრო დაგვანახებს. ამჯერად ოპოზიცია მმართველი პარტიის შიდა დაპირისპირებაზე საუბრობს, ერთურთს ფარულად ღარიბაშვილის და კობახიძის გუნდები უპირისპირდებიან. ამის თაობაზე საუბრობენ პოლიტიკოსები, მაგალითად, პარლამენტარი იაგო ხვიჩია: „კადრების სერიოზული კრიზისი აქვთ და ერთი და იგივე ხალხის ირგვლივ უწევს ტრიალი ბიძინა ივანიშვილს. ცდილობენ, დაგვაჯერონ, თითქოს ყველაფერი კარგადაა. მინისტრებიც იმიტომ არ შეცვალა, რომ ხალხს ეს განცდა ჰქონოდა, თუმცა ყველა ვხედავთ, რომ კარგად არაფერიც არაა ამ ქვეყანაში“.

რა თქმა უნდა, ოპოზიციის ზემოაღნიშნულ მოსაზრებას არ ეთანხმებიან მმართველი გუნდის წევრები. მათი თქმით, ქვეყანაში საგანგაშო არაფერი ხდება და მთავრობის ცვლილება ჩვეულებრივი ამბავია. ახალი პრემიერის შესაძლებლობებში ეჭვი ეპარება საქართველოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს: „როგორ აპირებთ საზოგადოების ევროპული დაკვეთის შესრულებას?“ - პრეზიდენტმა ამ პათოსოთ არაერთი კითხვა დასვა და, ამავე დროს, ოპოზიციას ახალი ჯანსაღი პლატფორმის შექმნისკენ მოუწოდა. ექსპერტები აცხადებენ, რომ სალომე ზურაბიშვილმა თავისი ბოლო საპრეზიდენტო ანგარიშით მმართველ პარტიაზე შური იძია. არც „ქართული ოცნების“ წევრები ინდობენ პრეზიდენტს, მათი აზრით, საქართველოს პრეზიდენტი „ნაცმოძრაობის“ პათოსით საუბრობს და ქვეყნის იმიჯს დასავლეთში აზარალებს. ყურადღება მიიქცია პრეზიდენტის ამასწინანდელმა განცხადებამაც ევროპული რეკომენდაციების თაობაზე: „ევროკავშირის 9 რეკომენდაციის მყისიერად განხორციელება ეკისრება მას, ვის ხელშიც ძალაუფლების ყველა ბერკეტია, ესე იგი - მთავრობას, საპარლამენტო უმრავლესობას და, ახლა უკვე, მათ მმართველ ბიძინა ივანიშვილს.“ უდავოა, რომ ზემოაღნიშნული ევროპული რეკომენდაციების შესრულებაზე იქნება დამოკიდებული საქართველოს და ევროკავშირის ურთიერთობა. ამ მიმართებითაც ოპოზიციას პრეტენზიები აქვს ხელისუფლების მიმართ. როგორც ოპოზიციონერები ამბობენ, ხელისუფლება არ ასრულებს ევროკავშირის 9 რეკომენდაციის გარკვეულ პუნქტებს. მაგალითად, სასამართლო სისტემა კვლავ ხელისუფლების გავლენის ქვეშაა, პოლარიზაცია სულ უფრო თვალში საცემია. ამ მოსაზრებას, რა თქმა უნდა, არ ეთანხმებიან ხელისუფლების წევრები. მათი თქმით, ქვეყანა თანმიმდევრულად ვითარდება და უახლოეს მომავალში მოსახლეობა ამას იგრძნობს, ანალიტიკოსები კი ხელისუფლებას სწორედ ამ მიმართულებით სხვადასხვა სფეროში მნიშვნელოვანი რეფორმების განხორციელებას ურჩევენ. თუ ჩვენ კარგად გავაანალიზებთ ქვეყნის შიდაპოლიტიკურ ვითარებას (ეკონომიკა, სოციალური მდგომარეობა, ხელისუფლების მართვის პრაქტიკა), შეიძლება ითქვას, რომ რეფორმები აუცილებელია ყველა სფეროში. მიმდინარე რეფორმები, ექსპერტთა აზრით, აჩვენებს, რომ ის ან არასწორადაა დაგეგმილი, ან სასურველ შედეგამდე არაა მისული, ამიტომ გასაანალიზებელია, რეფორმების პროცესი რამდენად არის შედეგზე ორიენტირებული, რა ხარვეზებია ამ მხრივ. საყურადღებოა პოლიტოლოგ გელა ირემაძის მოსაზრება: „ახალი რეფორმების ტალღა ქვეყნის ყველა სფეროს (პოლიტიკა, ეკონომიკა, კულტურა, სოციალური მიმართულება) უნდა შეეხოს, ვინაიდან ქვეყნის განვითარება დაუსრულებელი პროცესია, მით უფრო ამ საუკუნეში. სწორედ ამ მხრივ 2024 წლის თვლით უნგრეთის პრემიერს). ეს საყურადღებო ფაქტორია, რისი იგნორირებაც მმართველი გუნდისთვის დამაზიანებელი იქნებოდა. სწორედ ამის შესახებ საუბრობს კონფლიქტოლოგი პაატა ზაქარეიშვილი: „ივანიშვილს სჭირდება უფრო ეფექტური გუნდი, ვიდრე ღარიბაშვილს შეიძლებოდა ჰყოლოდა... ამიტომ გადაწყვიტა, არჩევნების წინ მოიყვანოს ახალი გუნდი“. სხვათა შორის, თუ დავაკვირდებით, მმართველი პარტია საარჩევნოდ ყოველთვის ახალი პრემიერ-მინისტრით წარსდგებოდა მოსახლეობის წინაშე (ასე იყო 2016 და 2020 წლებში). ეს ჯერჯერობით ამართლებს. რა იქნება მომავალში, დრო დაგვანახებს. ამჯერად ოპოზიცია მმართველი პარტიის შიდა დაპირისპირებაზე საუბრობს, ერთურთს ფარულად ღარიბაშვილის და კობახიძის გუნდები უპირისპირდებიან. ამის თაობაზე საუბრობენ პოლიტიკოსები, მაგალითად, პარლამენტარი იაგო ხვიჩია: „კადრების სერიოზული კრიზისი აქვთ და ერთი და იგივე ხალხის ირგვლივ უწევს ტრიალი ბიძინა ივანიშვილს. ცდილობენ, დაგვაჯერონ, თითქოს ყველაფერი კარგადაა. მინისტრებიც იმიტომ არ შეცვალა, რომ ხალხს ეს განცდა ჰქონოდა, თუმცა ყველა ვხედავთ, რომ კარგად არაფერიც არაა ამ ქვეყანაში“.

> ***„სისხლიანი 9 წელი“ „ნაცმოძრაობის“ წინააღმდეგ აღარ მოქმედებს და არც ოპოზიციის ბრალდებაა ხელისუფლების მისამართით („უუნარო მთავრობა“) აქტუალური. ამ ლოზუნგს ძალა აღარ აქვს. თუ დავაკვირდებით, ხელისუფლება უფრო გააქტიურებულია საარჩევნოდ, ვიდრე

# კანონპროექტი ლგბტ პროპაგანდის წინააღმდეგ

***„ქართული ოცნება“ ლგბტ პროპაგანდის წინააღმდეგ კანონპროექტზე მუშაობას იწყებს. მმართველ გუნდში აცხადებენ, რომ ლგბტ პროპაგანდას აუცილებლად უნდა დაუპირისპირდეს ქვეყანა და ამისათვის საკანონმდებლო მექანიზმებიც უნდა გამოვიყენოთ***

„ქართული ოცნების“ პოზიციაა, მომზადდეს საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც საზოგადოებას ფსევდოლიბერალური იდეოლოგიისგან და მისი გარდაუვალი მავნე შედეგებისგან დაიცავს. კანონპროექტი უახლოესი 2 კვირის განმავლობაში მომზადდება და დაინიციირდება პარლამენტში.

მმართველ გუნდში საკანონმდებლო ინიციატივის აუცილებლობას იმით ხსნიან, რომ მიზანმიმართულად ხდება არატრადიციული ცხოვრების პროპაგანდა. უმრავლესობის წევრები საუბრობენ მის ცუდ შედეგებზეც.

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე მიხეილ სარჯველაძის თქმით: „საზოგადოების საკმაოდ დიდ ნაწილს აქვს არა მხოლოდ ინტერესი, არამედ კონკრეტული შეხედულებები ამ საკითხების ირგვლივ. ეს აწუხებს საზოგადოებას და ბუნებრივია, ამ თემებზე საუბრის, დისკუსიის გახსნა, საკითხის რეგულირება არის უაღრესად დიდი მნიშვნელობის“.

„ხალხის ძალის“ წევრ, პარლამენტარ გურამ მაჭარაშვილის თქმით, აუცილებელია პირადი უფლებებისა და ადამიანის უფლებების ერთმანეთისგან გამიჯვნა.

„უნდა გავმიჯნოთ, რა არის პირადი უფლების დაცვა და პროპაგანდა. საქართველოში რომ ლგბტ პროპაგანდის წარმოება არ შეიძლება, ეს სულ სხვა რამეა, პირადი ცხოვრების დაცვის უფლება კი სულ სხვა რამ, რასაც ისედაც ვაკეთებთ. კატასტროფაა, რომ ბავშვის ფსიქოლოგიაში შეღწევას ცდილობენ. თურმე ბავშვებს ეუბნებიან, რომ მშობლები მარტო დედიკო და მამიკო კი არა, შეიძლება მამიკო და მამიკოც იყვნენ. ასეთი არაქართული და არაადამიანური ტრადიცია, ბუნებრივია, მიუღებელი იქნება და ეს დარეგულირდება ზუსტად ამ კანონით“, - აღნიშნა

მაჭარაშვილმა.

ოპოზიციაში აცხადებენ, რომ აღნიშნული ინიციატივა ფარისევლობაა.

„ამ ინიციატივას დავარქმევდი სასოწარკვეთილი ფარისევლების ინიციატივას. მოდის არჩევნები და ახლა დასჭირდათ ეკლესიის მრევლის ხმები. რა სჭირს „ქართული ოცნების“ გადასარჩენი მართლმადიდებლობას საქართველოში. არჩევნების წინ ეს ფარისევლობა არაფრის მომცემია“, - ამბობს „სტრატეგია აღმაშენებლის“ წევრი პაატა მანჯგალაძე.

პოლიტიკური პარტია „გირჩის“ ლიდერ იაგო ხვიჩიას თქმით, „ქართულ ოცნებას“ ამ კანონპროექტით, გამოხატვის თავისუფლების აკრძალვა სურს“.

„ნაციონალური მოძრაობის“ წევრ თინათინ ბოკუჩავას აზრით, როდესაც ქვეყანაში სიღარიბე და უმუშევრობაა მთავარი თემა, მთავრობას ყურადღება არ უნდა გადაჰქონდეს სხვა თემებზე, რომელიც უმნიშვნელოა. აღნიშნულ საკითხზე აჭარაში მოღვაწე პოლიტიკოსებს გავესაუბრეთ.

**ცოტნე ანანიძე, აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრი „ქართული ოცნებიდან“:**

- მიდგომა იქნება ქრისტიანული: ებრძვი

ცოდვას და არა ცოდვილს! კანონპროექტი მომზადდება საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის პრინციპების შესაბამისად, მთავარი ფაქტორი იქნება ეს. ამასთან, მიდგომები ადამიანის უნივერსალურ ღირებულებებსა და მათი ინტერესების დაცვაზე იქნება ორიენტირებული. სწორედ ჩვენმა ხელისუფლებამ მიიღო ანტიდისკრიმინაციული კანონი, რაც ყველა ადამიანის დაცვის გარანტიაა. გაჩნდა ისეთი მოთხოვნები, როგორებიცაა სქესის აღმნიშვნელი სიტყვების ლექსიკიდან ამოღება და „გენდერულად ნეიტრალური“ ტერმინოლოგიის დამკვიდრება, ბავშვებისთვის საკუთარი სქესის არჩევისა და შეცვლის ოპერაციის შესაძლებლობის მიცემა. ამ ყველაფერს არ შეიძლება ჰქონდეს კეთილშობილური მიზნები.

**პახა მიქელაძე, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი:**

- მაშინ, როდესაც ჩვენი ქვეყნის უამრავი

მოქალაქე ებრძვის უკიდურეს გაჭირვებას, ხელისუფლება აგრძელებს სირაქლემის პოზაში ყოფნას, ცდილობს, ხელოვნურად შექმნას პრობლემები და ისაუბროს ისეთ თემებზე, რომლებიც ჩვენს ხალხს საერთოდ არ აინტერესებს.

# ქობულეთში გამოსახლება გადაიდო

***ქობულეთში, თამარ მეფის ქ.№90-ში ბეჟანიძეების საცხოვრებელი სახლიდან გამოსახლება უკვე მეექვსედ გადაიდო***

ბეჟანიძეების საცხოვრებელ სახლთან, ადგილობრივების გარდა, სხვადასხვა რეგიონიდან ჩამოსული, იპოთეკით დაზარალებული მოქალაქეებიც შეიკრიბნენ. როგორც მათ განაცხადეს, თუ აღსრულების ბიუროს წარმომადგენლები მივიდოდნენ, აღნიშნული ოჯახის გამოსახლების უფლებას არ მისცემდნენ. აღსრულების ბიუროდან ადგილზე არავინ გამოჩენილა...

ბეჟანიძეებმა წლების წინ სეზონური სესხის გადახდა და საბანკო ვალდებულებების შესრულება ვერ შეძლეს, რის გამოც 2017 წელს „პროკრედიტ ბანკმა“ მათი სახლი აუქციონის წესით გაყიდა. სახლი თავდაპირველად მეუფე იაკობმა შეიძინა, თუმცა შემდეგ იგი ორჯერ გადაიყიდა.

ბევრი თხოვნის მიუხედავად, სახლის ახლანდელი მფლობელი ბესარიონ ბალავაძე მოლაპარაკებებზე უარს ამბობს მიუხედავად იმისა, რომ ბეჟანიძეების ოჯახი მას ორმაგ თანხას სთავაზობს.

ნაილი ბეჟანიძე აქ შვილთან და სამ შვილიშვილთან ერთად ცხოვრობს. მისი 54 წლის მეუღლე მეორე გამოსახლების დროს გარდაიცვალა.

შეკრებილებმა საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანა და საფინანსო-საბანკო

პოლიტიკის შეცვლაც მოითხოვეს, მთავარი მოთხოვნა კი გამოსახლებების შეჩერება იყო.

აქციის მონაწილეებმა მსვლელობა მოაწყვეს აღმაშენებლის გამზირზე, „თიბისი ბანკთან“ გაჩერდნენ და აქ მომუშავეებს მოუწოდეს, რომ არ ემსახურონ იმ ბანკს, რომელიც ხალხს საცხოვრებელს ართმევს. ასევე, შეჩერდნენ ქობულეთის მერიასთან შეძახილით „არა გამოსახლებას!“ და მერიის წარმომადგენლებს სთხოვეს შუამდგომლობა ხელისუფლებასთან, რათა დაეხმარონ იპოთეკით დაზარალებულ ადამიანებს და შეჩერდეს გამოსახლებები.

გთავაზობთ გაზეთ „აჭარასთან“ გაკეთებულ კომენტარებს.

**ნაილი ბეჟანიძე, სახლის პირველადი მფლობელი:**

- 5 მარტს ჩანიშნული მქონდა გამოსახლება და ველოდებოდი აღსრულების ბიუროს წარმომადგენლებს, თუმცა არ მოსულან, ვიცით - რატომ. ახლა კი გადაიდო გამოსახლება, მაგრამ შესაძლოა, 20 დღეში ისევ ჩაინიშნოს. ეს უკვე მე-6 გამოსახლებაა, მაგრამ მაინც არ დავიღლები და არ დავტოვებ ამ ოჯახს. ვიბრძოლებ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე. თქვენი გაზეთის საშუალებით მინდა დიდი მადლობა გადავუხადო აქ მოსულ ადამიანებს, ისინი ჩემ გვერდით არიან და მაძლიერებენ. ჩვენ ყველა ერთად ვიბრძოლებთ გამოსახლებების წინააღმდეგ და ბრძოლა აუცილებლად გამოიღებს შედეგს.

**თამაზ ბაპურიძე, უფლებადამცველი:**

- ქობულეთში თამარ მეფის ქუჩის №90 ყველაზე ხმაურიანი ადგილია, ყველამ იცის უკვე ბეჟანიძეების ოჯახი. დღეს აქ იყო ბოლო გამოსახლება, მაგრამ აღსრულების ბიუროს წარმომადგენლები არ მოსულან, თუმცა ეს პრობლემას ვერ ხსნის, რადგან უამრავი ოჯახის გამოსახლებაა ჩანიშნული. პრობლემა მასობრივი და არა ინდივიდუალურია. იგი საქართველოს მოსახლეობის ძალიან დიდ ნაწილს აწუხებს. ვფიქრობ, რომ ხელისუფლებამ ის მთავარი დანაპირები, რომელიც ხელისუფლებაში მოსვლამდე ჰქონდა დაბალპროცენტიან და გრძელვადიან სესხთან დაკავშირებით, უნდა შეასრულოს. ვფიქრობ, არსებული სიტუაციიდან საუკეთესო გამოსავალი ეს არის.

**მამისა ჯაშარაშვილი, საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ხალხის ხელისუფლება - სახალხო სამართალი“ დამფუძნებელი:**

- უკვე მერამდენედ ვესწრებით ნაილი ბეჟანიძის ოჯახის გამოსახლების მცდელობას. მთელი საქართველოს მასშტაბით მოვიყარეთ აქ თავი ყველამ, ვინც ამ სისტემურ პრობლემას ვაპროტესტებთ. დღეს ვერ გაბედეს აღსრულების ბიუროს წარმომადგენლებმა მოსვლა, მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელი გამოსახლებისთვის შიდა ბრძანება არსებობს. ჩვენი მოთხოვნაა, არსებული სისტემა შეიცვალოს და შეწყდეს გამოსახლებები.

**გვერდი მოამზადა**
**თამარ ლამპარაძემ**

# როგორ ამოვიცნოთ აუტიზმის ნიშნები და როლის მივმართოთ სპეციალისტს?

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

***არც ისე დიდი ხნის წინ აუტისტური სპექტრის აშლილობა იშვიათი იყო, ბოლო ხანს კი საგრძნობლად გახშირდა. საერთაშორისო მონაცემებით, 2000 წელს ეს დარღვევა 150-დან - ერთ, ხოლო 2006 წელს - 110-დან ერთ ბავშვს თუ ჰქონდა, 2012 წლიდან, ამერიკის შეერთებული შტატების დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრის მონაცემებით, ყოველი 36 ბავშვიდან ერთს აღენიშნება***

*აუტიზმის ნიშნები შესაძლებელია განსხვავებულად გამოვლინდეს ასაკისა და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით. სპეციალისტების განმარტებით, თითქმის არ არსებობს აუტისტური სპექტრის მქონე ორი ადამიანი, რომელთაც ერთნაირი ნიშნები აქვთ.*

*ქცევის საერთაშორისო ანალიტიკოსი, ბავშვთა განვითარების ცენტრ „მოზაიკის“ დამფუძნებელი და დირექტორი* ***ნინო დოლიძე*** *გვესაუბრება იმ საყურადღებო ნიშნებზე, რომელიც შეიძლება მიუთითებდეს ბავშვებში აუტისტური სპექტრის აშლილობაზე.*

**- რამდენად მნიშვნელოვანია აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვის სპეციალისტთან დროულად მიყვანა?**

- აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვის სპეციალისტთან დროულად მიყვანას გადამწყვეტი მნიშვნელობაც კი აქვს. 0-დან 3 წლამდე არის ოქროს პერიოდი, როცა ბავშვები ღრუბელივით ისრუტავენ ახალ უნარებს, შესაბამისად, უფრო დიდი შანსია, რომ მომავალში მეტ-ნაკლებად მოიხსნან აუტიზმის ნიშნები. აუტიზმი არ არის დაავადება, ეს არის მდგომარეობა, რომელიც მთელი ცხოვრება ნარჩუნდება. შესაბამისად, არ არსებობს მედიკამენტი, რომლითაც ეს მდგომარეობა განიკურნება. შეიძლება ითქვას, რომ „მკურნალობის“ ერთადერთი მეთოდი ქცევის გამოყენებითი ანალიზი, ქცევითი თერაპიაა, რომელსაც ბავშვის ადაპტური, სოციალური უნარების გაუმჯობესებისკენ მივყავართ. უნდა მივიდეთ იქამდე, რომ ბავშვი საზოგადოებაში სრულიად სწორად ადაპტირდეს და ადეკვატურად ჩაერთოს სხვადასხვა საგანმანათლებლო, კულტურულ თუ სხვა ღონისძიებაში.

**- რა ნიშნების გამოვლენისას უნდა მივიყვანოთ ბავშვი სპეციალისტთან?**

- ასაკის მიხედვით აუტიზმის ნიშნები შეიძლება ორგვარად გამოვლინდეს. ერთ შემთხვევაში სოციალური უნარების დეფიციტი თავიდანვე შესამჩნევია, მაგალითად, სოციალური ღიმილის უქონლობა, მზერითი კონტაქტის სიმცირე. მეორე შემთხვევაში განვითარება ტიპურად მიმდინარეობს, თუმცა დაახლოებით 18 თვიდან აღინიშნება განვითარების შეჩერება ან რეგრესი. იმ სიტყვებსაც კი ივიწყებენ ბავშვები, რომლებსაც ადრე კომუნიკაციისას იყენებდნენ. აუცილებელია ვიცოდეთ, რა ნიშნებს უნდა დავაკვირდეთ ადრეულ ასაკში. პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი სახელზე რეაგირების ნაკლებობა ან უქონლობაა. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ბავშვი თამაშშია ჩართული, შემთხვევათა 80%-ში მაინც უნდა მოახერხოს საკუთარ სახელზე რეაგირება. მეორე ნიშანი მზერითი კონტაქტის ნაკლებობა ან არარსებობაა. პატარა სხვადასხვა თამაშის დროსაც უნდა აკვირდებოდეს უფროსის სახის გამომეტყველების, ხმის ტემბრის ცვლილებას და მასთან ხშირად უნდა ამყარებდეს მზერით კონტაქტს. თუ ეს უნარი ბავშვს არ აქვს, ამანაც შეიძლება მიგვითითოს, რომ მას შეიძლება აუტიზმი ჰქონდეს. ასევე, ერთ-ერთი ნიშანია არაფუნქციური თამაში, რაც ნიშნავს, რომ ბავშვი ფუნქციის შესაბამისად არ იყენებს სათამაშოს. მაგალითად, იმის ნაცვლად, რომ მანქანა გააგოროს, შეიძლება, უბრალოდ, მისი ბორბლები დაატრიალოს, ან ნაცვლად იმისა, რომ კუბიკებით სახლი ააშენოს, შეიძლება ისინი ზომის ან ფერის მიხედვით ჩაამწკრივოს. შემდეგი ნიშანი არის განმეორებითი ქცევის პატერნი, იგივე სტერეოტიპული ქცევა. შეიძლება ბავშვი ტრიალებდეს, ირწეოდეს, ატრიალებდეს ხელს ან აღენიშნებოდეს სხეულის სხვა ნაწილით მსგავსი განმეორებითი მოძრაობები. ასევე, უნდა აღინიშნოს სენსორული სირთულეები, რაც, რა თქმა უნდა, შეიძლება აუტიზმის მქონე ყველა ადამიანს არ ახასიათებდეს, თუმცა ძალიან ხშირია. სენსორულ სირთულეებში იგულისხმება მგრძნობელობასთან დაკავშირებული საკითხები. მაგალითად, შეიძლება არ მოსწონდეს ხმაური და ყურზე იფარებდეს ხელს ან პირიქით - ძალიან მოსწონდეს ხმამაღალი ბგერები და დინამიკებთანაც კი იდგეს, რომ ეს შეიგრძნოს, ძალიან მოსწონდეს სინათლე და სულ მას ეძებდეს, ძალიან მოსწონდეს ტრიალი და სირბილი ან პირიქით - ერიდებოდეს მსგავს მოძრაობებს. ერთ-ერთი მთავარი ნიშანი, რაც აუტიზმის დეფინიციისთვისაც არის განმსაზღვრელი, ვოკალური და არავოკალური კომუნიკაციის სირთულეა. შეიძლება ბავშვმა იცოდეს საუბარი, ბევრი სიტყვა, მაგრამ არ იყენებდეს მას კომუნიკაციის დასამყარებლად. შეიძლება იცოდეს სიტყვა „შოკოლადის“ წარმოთქმა, მაგრამ ამჯობინებს, წაიყვანოს მშობელი და აჩვენოს ის, ვიდრე თქვას „შოკოლადი მინდა“. შეიძლება ლექსებსაც ამბობდნენ, იმეორებდნენ მულტფილმში გაგონილ სიტყვებს, მაგრამ არ იყენებდნენ მათ კომუნიკაციის დროს. შეიძლება ბავშვს ასევე აღენიშნებოდეს ექოლალიები, რაც სიტყვების განმეორებას ნიშნავს. მაგალითად, თუ მათ ჰკითხავთ, „რა გქვია?“, გიპასუხებთ - „რა გქვია“. სოციალური უნარების სირთულეზე როცა ვსაუბრობთ, მშობლებს ჰგონიათ, ეს გამოიხატება მხოლოდ იმაში, რომ ბავშვს არ უნდა კონტაქტი უცხო ადამიანთან ან თანატოლებთან და ასე შემდეგ. შეიძლება სწორედ ასეც იყოს, მაგრამ გვავიწყდება მეორე დისფუნქცია, რაც უკავშირდება იმას, რომ ბავშვს შეიძლება პირიქით - ზედმეტად უნდოდეს კომუნიკაცია, მათ შორის უცნობ ადამიანებთან. ყველას შეიძლება ეუბნებოდეს გამარჯობას, ყველასთან მივიდეს, ჩაეხუტოს და ამ დროს უჭირს ნაცნობების და უცნობების გარჩევა. ესეც შეიძლება სოციალური უნარების სირთულედ ჩაითვალოს. რა თქმა უნდა, არ არის აუცილებელი, რომ ჩამოთვლილი ნიშნებიდან ყველა ახასიათებდეს ბავშვს, ეს დიაგნოზი რომ დაესვას. არსებობს სპეციალური ინსტრუმენტი - ადოსის ტესტი, რომლითაც სწორედ აუტიზმის დიაგნოსტირება ხდება.

**- სტიგმაზე რას იტყვით? რატომ უჭირთ მშობლებს ან ოჯახის წევრებს ამ დიაგნოზის აღიარება?**

- მას შემდეგ, რაც მშობელი იგებს ბავშვის დიაგნოზს, ერთ-ერთი პირველი ფაზა არის უარყოფა. ვერ იჯერებენ, რომ ეს დიაგნოზი შეიძლება იყოს სიმართლე და შემდეგ უკვე თავის გასამართლებლადაც ეძებენ გზებს - ჩემთან აკეთებს, ჩემს დაძახილზე რეაგირებს, ეს თქვენთან არ გააკეთა... ეს არის პირველი ბუნებრივი რეაქცია. იმისთვის, რომ მშობელი აღიარებამდე მივიდეს, ძალიან დიდი გზაა გასავლელი. პირველ რიგში, საჭიროა მოვიძიოთ ინფორმაცია, რასთან გვაქვს საქმე. ეს უარყოფა შეიძლება ინფორმაციის ნაკლებობამაც გამოიწვიოს. გავიგეთ, რომ ბავშვს აქვს აუტიზმი, მაგრამ შეიძლება წარმოდგენაც არ გვქონდეს, რასთან შეიძლება იყოს ეს დაკავშირებული, როგორ ვლინდებოდეს, რა იქნება მომავალში... ეს შიშიც განაპირობებს უარყოფის ფაზას. რაც შეეხება თავად სტიგმას, შეიძლება მივიდეთ იქამდე, საკუთარ თავთან ვაღიაროთ, რომ ჩვენს ბავშვს აქვს აუტიზმი და უნდა დავეხმაროთ, მაგრამ, ჩვენი კულტურული მახასიათებლებიდან გამომდინარე, შეიძლება ქართველ მშობლებს წინ გვქონდეს წამოწეული - „სხვები რას იტყვიან?!“. რა თქმა უნდა, სათქმელად ადვილია და შესასრულებად - რთული, მაგრამ გაცილებით მნიშვნელოვანია, როგორ განვითარდება ჩვენი შვილი და როგორ მომავალს შევუქმნით მას, ვიდრე „სხვა რას იტყვის“. ამიტომ აუცილებელია დროული დიაგნოსტირება და თერაპიების დაწყება. იმისთვის, რომ უარყოფის ფაზა ადვილად გადავლახოთ, კარგი იქნება სადმე გაერთიანება, თუნდაც სოციალური ქსელის ისეთ ჯგუფში, სადაც მსგავსი დიაგნოზის მქონე ბავშვების მშობლები არიან და იქიდან მივიღოთ მხარდაჭერა ან მოვიძიოთ გარკვეული ვიდეოები, მოვისმინოთ, წავიკითხოთ სპეციალისტების ჩანაწერები და ასე შემდეგ.

**- ახლა რა მდგომარეობაა ცნობიერების ამაღლების კუთხით - გაზრდილია მომართვიანობა თუ არის დაგვიანების შემთხვევებიც?**

- სტიგმა, ზოგიერთ შემთხვევაში, მაინც ნარჩუნდება, მაინც აქვს ზოგიერთ მშობელს იმის შიში, ვინმემ არ გაიგოს მისი შვილის დიაგნოზის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ ცენტრებში კონფიდენციალურია მათ შესახებ ინფორმაცია. ცდილობენ, თავიდან აირიდონ ამ დიაგნოზის მიღება, მაგრამ საერთო მდგომარეობას რომ გადავხედოთ, ცნობიერება ამაღლებულია. ახალგაზრდა მშობლები თავიანთი შვილების განვითარებას აკვირდებიან, აქვთ მეტი საშუალება, მოიძიონ ამის შესახებ ინფორმაცია და, საჭიროების შემთხვევაში, დასახმარებლად მიმართავენ ფსიქოლოგებს. მომართვიანობაც გაზრდილია, მაგრამ შეიძლება ეს იმ კუთხითაც ხდება, რომ თვითონ აუტიზმის მქონე პირთა ფიზიკური მაჩვენებელია გაზრდილი. რა თქმა უნდა, დაგვიანებული შემთხვევებიც არის, მაგრამ ძირითადად მაშინ, თუ ბავშვი არის მაღალფუნქციური, ადაპტური უნარები კარგად აქვს განვითარებული და კარგად მეტყველებს. ამ შემთხვევაში, შეიძლება სკოლაში შეყვანისას, პირველ კლასში აღმოაჩინონ, რომ მას შესაძლოა, აუტიზმი ჰქონდეს. გოგონების შემთხვევაშიც ვაწყდებით დაგვიანებულ დიაგნოსტირებას, როდესაც სოციალური უნარების ნაკლებობას გოგონების სიმორცხვეს მიაწერენ, თუმცა ამ შემთხვევაშიც შეიძლება უკვე საგაკვეთილო პროცესებში რაღაც ნიშნები გამოვლინდეს და შემდეგ მოხდეს დიაგნოსტირება. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აჭარის რეგიონში განსაკუთრებით დიდი ფუფუნება გვაქვს აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვების თერაპიების დაფინანსების კუთხით. შეიძლება ითქვას, რომ ამანაც განაპირობა უარყოფის ფაზის სწრაფად გადალახვა. მშობლები ხვდებიან, რომ შეუძლიათ ისარგებლონ უფასო პროგრამით, რაც საგრძნობლად გააუმჯობესებს მათი შვილების მდგომარეობას და კიდევ უფრო განვითარებულს გახდის მათ.

> ***„იმისთვის, რომ მშობელი აღიარებამდე მივიდეს, ძალიან დიდი გზაა გასავლელი. პირველ რიგში, საჭიროა მოვიძიოთ ინფორმაცია, რასთან გვაქვს საქმე. ეს უარყოფა შეიძლება ინფორმაციის ნაკლებობამაც გამოიწვიოს. გავიგეთ, რომ ბავშვს აქვს აუტიზმი, მაგრამ შეიძლება წარმოდგენაც არ გვქონდეს, რასთან შეიძლება იყოს ეს დაკავშირებული, როგორ ვლინდებოდეს, რა იქნება მომავალში... ეს შიშიც განაპირობებს უარყოფის ფაზას***

# სკოლებში საგაზაფხულო არდადეგები დაიწყო

***დღეიდან საქართველოს საჯარო და კერძო სკოლებში საგაზაფხულო არდადეგები დაიწყო, რომელიც 14 მარტს დასრულდება***

აღსანიშნავია, რომ განათლების სამინისტრომ „საგაზაფხულო არდადეგები“ 2017 წელს შემოიღო, მანამდე მხოლოდ საზაფხულო და ზამთრის არდადეგები არსებობდა.

***ცნობისთვის:*** *სკოლებში წლის განმავლობაში განსაზღვრული არდადეგები შემდეგნაირად ნაწილდება:*

***ზამთრის არდადეგები*** *- 30 დეკემბრიდან - 15 იანვრამდე;*

***საგაზაფხულო არდადეგები*** *- 8 მარტიდან -15 მარტამდე;*

***ზაფხულის არდადეგები*** *- 15 ივნისიდან - 15 სექტემბრამდე.*

სამინისტროს ინფორმაციით, სკოლებში სწავლის დასრულების თარიღი კლასების მიხედვით ნაწილდება და ინდივიდუალურია. პირველი კლასის მოსწავლეებისთვის სასწავლო წელი 27 მაისს სრულდება, ხოლო დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისთვის - 20 მაისს, მე-2-დან მე-11 კლასის ჩათვლით კი სასწავლო პროცესი 15 ივნისს დასრულდება.

# ქართველი მეცნიერის იაპონური შთაბეჭდილებები

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14




*საზოგადოება შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ დღვანში დაბადებულ* ***ედიშერ შუტკარაძეს*** *უკვე იცნობს როგორც წარმატებულ მეცნიერს. იგი სოხუმის სახელმწიფო და საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტების პროფესორია, სამართალმცოდნეობაში ლექციებს კითხულობს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მაღალ დონეზე ფლობს გერმანულ ენას და კარგად იცნობს იმ ქვეყანაში მოქმედ კანონმდებლობას. ის შარშან მიავლინეს იაპონიაში, სადაც თითქმის ნახევარი წელი დაჰყო. დღეს იგი იაპონიაში მიღებულ შთაბეჭდილებებსა და აქტუალურ საკითხებზე მოსაზრებებს გვიზიარებს.*

**- ბატონო ედიშერ, აქამდე ქართველ სამართალმცოდნეებს თუ ჰქონდათ პატივი, სტიპენდიის მოპოვების შედეგად რამდენიმე თვე ამომავალი მზის ქვეყანაში გაეტარებინოთ?**

- დიდი მადლობა ჩემ მიმართ გამოჩენილი ინტერესისთვის. თქვენთვის შარშან მოცემულ ინტერვიუში აღვნიშნე და ახლაც გავიმეორებ, რომ მოპოვებული სტიპენდიებით 7-ჯერ ვიყავი სამეცნიერო სტაჟირებაზე გერმანიაში. ამჟამადაც მოპოვებული იაპონური სტიპენდიით გახლდით კანსაის უნივერსიტეტში. მათ აქვთ ეგრეთ წოდებული ყოფილ სტიპენდიატთა სტატისტიკა. არა მხოლოდ საქართველოდან, არამედ ყოფილი სოციალისტური ქვეყნებიდან მეორე მეცნიერი აღმოვჩნდი, ვისაც ეს პატივი ერგო. ამერიკელ, გერმანელ, ფრანგ, იტალიელ და დასავლეთის სხვა ქვეყნების ცნობილი მეცნიერების მსგავსად, ადრე მიწვეული იყო პოლონელი პროფესორი ემილ პლივაჩევსკი. სხვათა შორის, ის ერთი დღით ჩემი იქ ყოფნის პერიოდშიც იყო კანსაის უნივერსიტეტში და ლექციაც წაიკითხა. გავიცანით ერთმანეთი, გავისაუბრეთ და ძალიან ბევრი საერთო ნაცნობ-მეგობარი აღმოგვაჩნდა საერთაშორისო მასშტაბით. დღევანდელი ტექნოლოგიების ეპოქაში მსოფლიო დაპატარავდა და, შეიძლება ითქვას, ყველამ ყველას შესახებ ყველაფერი იცის. ასე რომ, არა მხოლოდ საქართველოდან, ყოფილი საბჭოთა კავშირიდანაც პირველი აღმოვჩნდი, ვინც იურისპრუდენციაში ასე ხანგრძლივი სამეცნიერო სტიპენდია მოიპოვა იაპონიის უნივერსიტეტში საქმიანობისთვის, რისთვისაც საკმაოდ ბევრი საფეხური გავიარე. კონკურსშიც გავიმარჯვე საერთაშორისო მასშტაბით, მაგრამ სტიპენდიის მოპოვების საფუძველი ჩემი სამეცნიერო პროექტი და პიროვნული აკადემიური მონაცემები იყო. სიმართლე გითხრათ, ეს სტიპენდია პიროვნული აკადემიური აქტიურობის შედეგია. პირველად იაპონიაში 2009 წელს გახლდით - ტოკიოს უნივერსიტეტში გამართულ მსოფლიო ვიქტიმოლოგთა სიმპოზიუმზე. ეს იყო ხანმოკლე, ერთკვირიანი ვიზიტი, მაგრამ აკადემიურად საინტერესო. იაპონელ კოლეგებთან სამეცნიერო და კოლეგიალური ურთიერთობა კი უფრო ადრე დაიწყო, 2001 წელს გერმანიაში ჩემი პირველი სამეცნიერო სტაჟირებისას. მას შემდეგ იაპონელ კოლეგებს ვხვდებოდი სხვადასხვა საერთაშორისო კონგრესსა თუ სიმპოზიუმზე, რომლის მასალებიც იბეჭდებოდა. ასე აღმოჩნდა ჩემი სამეცნიერო ნაშრომები იაპონიაში და სხვა ქვეყნებშიც. რამდენიმე ნაშრომი, მათ შორის ერთი იაპონურადაც, უშუალოდ იაპონიაში გამოქვეყნდა. ამან გაზარდა ჩემი ცნობადობა იაპონელ კოლეგებში და შესაბამისად, მათი აკადემიური დაინტერესება შემდგომი თანამშრომლობისთვის. მეცნიერისთვის სასიხარულოა, როცა მის ნაშრომებს უფრო ადრე გაიცნობენ, ვიდრე უშუალოდ ავტორს. ასე იყო ჩემს შემთხვევაში.

**- პირველი შთაბეჭდილება, რომელიც მეხსიერებას სამუდამოდ შემორჩება...**

- გასაგებია, რომ პირველი შთაბეჭდილებები იაპონიაში 2009 წელს მივიღე, ახლანდელი ვიზიტი კი ხანგრძლივი იყო და მთელი სემესტრი გაგრძელდა. მეხსიერებას სამუდამოდ შემორჩება ჩემი სამუშაო ოთახი კანსაის უნივერსიტეტში, მისი მდიდარი ბიბლიოთეკა, სხვა შესაბამისი ინფრასტრუქტურა, უპირველესად კი იქ მოღვაწე ძალიან მეგობრული და თბილი ადამიანები.

**- რა თქმა უნდა, მთავარი მაინც მეცნიერული კვლევები იყო. იურისპრუდენციაში რა მიმართულებით გიწევდათ მუშაობა?**

- ჩემი სამეცნიერო თემა სისხლის სამართლის პოლიტიკის საკითხების შედარებით - სისხლისსამართლებრივ კვლევას ითვალისწინებდა.

**- გერმანიის, საფრანგეთის მსგავსად, იაპონელებს თუ ჰყავთ იურისპრუდენციაში მსოფლიო დონის მეცნიერები?**

- რასაკვირველია, ყველა ქვეყანას ჰყავს მსოფლიო დონის მეცნიერები, თუმცა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებისგან განსხვავებით, ეს საკითხი იურისპრუდენციაში ცოტა სხვაგვარად დგას და ამას თავისი მიზეზები აქვს, რომელთა განხილვასაც აქ არ შევუდგები. რამდენიმე იაპონელმა იურისტმა მეცნიერმა შექმნა საერთაშორისო დონის ნაშრომები, მაგრამ დრო და სივრცე აქ უფრო მკაცრი და დაუნდობელია, ვიდრე სხვა სფეროებში. პიროვნებას საერთაშორისო დონის მეცნიერად აღიარებენ ამ დარგის მეცნიერები საერთაშორისო მასშტაბით. ეს ხდება მის სამეცნიერო ნაშრომებსა და აკადემიურ აქტიურობაზე დაყრდნობით და არა რომელიმე სახელმწიფოში მაღალი თანამდებობის გამო. მთავარი მაინც დარგის განვითარებაში შეტანილი წვლილი და აკადემიური დამსახურებაა, ეს ყველაფერი კი ფარდობითია. ამ გარემოების გათვალისწინებით პროფესორები ჰირანო, იდა და იამანაკა ძალიან ცნობილი მეცნიერები არიან. მქონდა პატივი, შევხვედროდი და მესაუბრა ემერიტუს პროფესორ იამანაკასთან, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა იაპონიის სისხლის სამართლის განვითარებასა და გერმანულ სისხლის სამართალთან დაახლოებაში.

**- დამოუკიდებელმა საქართველომ კონსტიტუცია სამი ათეული წლის წინ მიიღო, იაპონიამ?**

- იაპონიის ამჟამად მოქმედი კონსტიტუცია მიღებულია 1946 წელს - მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ. ამან გავლენა მოახდინა სისხლის სამართლის კანონმდებლობაზეც. აქვე აღვნიშნავ, რომ იაპონიის ამჟამად მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი მიღებულია 1907 წელს, რომელიც „გერმანული მოდელის“ მიხედვით არის შექმნილი. იაპონიის მანამდე მოქმედი, 1880 წლის სისხლის სამართლის კოდექსი იყო „ფრანგული მოდელის“. ამას აქვს თავისი მიზეზები. იაპონიის 1946 წლის კონსტიტუციაზე დიდია ამერიკული გავლენა და ამასაც აქვს თავისი მიზეზები. კონსტიტუციის ცვლილება განაპირობებს სხვა კანონების მასთან შესაბამისობაში მოყვანის აუცილებლობას. ასე მოხდა იაპონიაშიც და განხორციელდა სისხლის სამართლის კოდექსის რეფორმა, რაც ცალკე მსჯელობის საკითხია.

**- მუშაობის პარალელურად, „იაპონურ ქუჩას“ თუ გაეცანით?**

- ქუჩაში დიდხანს ყოფნის დრო არ მქონდა, მაგრამ ერთი რამ შემიძლია გითხრათ: იაპონიაში ყველგან, მათ შორის ქუჩაშიც, თანაბრად ხდება დანაშაული, ოღონდ ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში სჭარბობს ეკონომიკური და კიბერდანაშაული, სხვა ქვეყნებში კი განსხვავებული დანაშაული. ზოგადად, იაპონელების დამოკიდებულება კანონიერების მიმართ პოზიტიურია, მაგრამ კანონდამრღვევები იქაც ჰყავთ, რა თქმა უნდა, არა იმ მასშტაბით, რაც სხვა ქვეყნებშია.

**- საზოგადოება, მშობლიური კუთხე წარმატებულ მეცნიერად გაღიარებთ. დასტურად შარშანდელი შუახევობაც საკმარისია. ზეიმს ვერ დაესწარით, მაგრამ „საპატიო შუახეველად“ დაგასახელეს...**

- დიდი მადლობა საზოგადოებას, მშობლიურ კუთხეს ჩემი სიყვარულისა და აღიარებისთვის. დარგის სპეციალისტების მიერ აღიარების შემდეგ, ანდა პარალელურად, ერთობ მნიშვნელოვანია საზოგადოების მხრიდან ყურადღება, თუმცა უცხოელი კოლეგების დადებითი დამოკიდებულება, თუნდაც უცხოეთში ნაშრომების გამოქვეყნება, ასევე საზღვარგარეთ კონგრესებსა და კონფერენციებზე მოხსენების, საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში ლექციების წაკითხვა და კიდევ ბევრი სხვა აკადემიური და ლიტერატურული აქტიურობა, ვფიქრობ, რომ აძლევს მშობლიურ შუახევის მუნიციპალიტეტს ჩემი „საპატიო შუახეველად“ აღიარების საფუძველს. აქვე აღვნიშნავ, რომ იაპონიაში, კანსაის უნივერსიტეტში ყოფნის პერიოდში მონაწილეობა მივიღე გერმანულ-იაპონურ-კორეულ კონფერენციაში, რომელიც გასული წლის 3-6 ნოემბერს გაიმართა. ვიყავი მომხსენებელიც და მოდერატორიც. ამავე დროს ლექციები წავიკითხე კანსაის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისთვის სისხლის სამართლის სხვადასხვა საკითხზე. თუმცა, რაც უნდა აკადემიურად წარმატებული იყო, ეს არაფერია მშობლიური მუნიციპალიტეტისთვის, თუ გაწყვიტე კავშირი შენს კუთხესთან, მე კი მშობლიური მხარის სიყვარული გამყვა არა მხოლოდ დედაქალაქში, არამედ ქვეყნის ფარგლებს გარეთაც და ეს სიყვარული ჩემთვის ერთგვარი საზრდოცაა. აქვე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და კიდევ ერთხელ გულწრფელი მადლობა გადავუხადო ჩემი მშობლიური შუახევის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასა და შესაბამის კომისიას, რომელმაც „საპატიო შუახეველის“ წოდება მომანიჭა ჩემი იაპონიაში ყოფნის პერიოდში. შევეცდები, ეს საპატიო ტიტული გავამართლო. მაქვს დაგეგმილი კონკრეტული ქმედებებიც, თუმცა სჯობს, ჯერ განვახორციელო და შემდეგ ვთქვა.

**- ამჯერად რომელი ქვეყნის გაცნობას აპირებთ?**

- მეცნიერის მიზანი ქვეყნების გაცნობა არ არის, ის მხოლოდ საშუალებაა კონკრეტული სამეცნიერო აქტივობის განსახორციელებლად. ზოგჯერ, მეცნიერული ინტერესიდან გამომდინარე, ერთი და იგივე ქვეყნის რამდენჯერმე მონახულება გვიწევს. წელს ერთ-ერთ ქვეყანაში დაგეგმილია დიდი საერთაშორისო კონგრესი სისხლის სამართლის მიმართულებით, სადაც მომხსენებლად მეც ვარ მიწვეული. უკვე გადმომიგზავნეს პროგრამის პროექტი. ძალიან გახარებული ვარ, რომ იქ ჩამოვლენ ჩემი ძველი მეგობრები იაპონიიდან, სამხრეთ კორეიდან, ჩინეთიდან, აშშ-დან, ბრაზილიიდან, გერმანიიდან, სლოვენიიდან, ესპანეთიდან... ასევე, წავიკითხე ახალი გვარებიც, რაც მაძლევს მათი გაცნობისა და ჩემი აკადემიური საერთაშორისო სამეგობროს კიდევ უფრო გაფართოების შესაძლებლობას.

**- ნაშრომი, რომელზეც ამჟამად მუშაობთ...**

- ლექციების კითხვასთან ერთად, მნიშვნელოვანია სამეცნიერო ნაშრომის დაწერა და გამოქვეყნება, რომელიც ჩვენ შემდეგ დარჩება და შეახსენებს ჩვენს თავს მკითხველს. არანაკლებ მნიშვნელოვანია, რამდენად აქტუალური და სიცოცხლისუნარიანი იქნება ის, რასაც დავწერთ და დავტოვებთ. ახლაც ინტენსიურად ვმუშაობ ერთ-ერთ სამეცნიერო ნაშრომზე, თუმცა 4 მარტიდან ლექციები იწყება და მომიწევს ტემპის შენელება ამ მიმართულებით ზაფხულის არდადეგებამდე. არის ასეთი გერმანული გამოთქმა: „რასაც ბევრ დროს მოანდომებ, ის უფრო კარგი გამოვა“. სჯობს, ცოტა გვიან გამოვიდეს სამეცნიერო ნაშრომი და კარგი იყოს, ვიდრე - ნაადრევი და სუსტი, ამიტომ ამ ეტაპზე არც ნაშრომის სახელწოდებას და არც გამოცემის ვადას დავასახელებ. ვფიქრობ, კარგი დარგობრივი ნაშრომი იქნება, თუმცა ამას დრო და მკითხველი შეაფასებს.

**- ხომ არ გიჩნდებათ სურვილი, უცხოეთში გარკვეული დრო ოჯახთან ერთად იმუშაოთ?**

- უცხოეთში ოჯახთან ერთად კარგია სამოგზაუროდ ან დასასვენებლად წასვლა, თუ ამის შესაძლებლობა გაქვს, სამეცნიერო მუშაობა კი განმარტოებასა და კონცენტრაციას მოითხოვს არა მხოლოდ უცხოეთში, არამედ სამშობლოშიც.

**- გაზაფხულის სადღესასწაულო დღეებია, რას უსურვებთ ქალბატონებს?**

- მამაკაცის ყველა წარმატება ქალის თანადგომაზე გადის. ვულოცავ ყველა ქალბატონს გაზაფხულის მოახლოებულ დღესასწაულებს და ვუსურვებ ყოველივე საუკეთესოს. აქვე გთავაზობთ ერთ სტროფს ჩემი ადრე დაწერილი ლექსიდან, რომელიც ქალებს ეძღვნება:

*ქალს შეუძლია გაქციოს გმირად*
*და რაინდული სული შთაგბეროს,*
*მას შეუძლია დაგისვას ძვირად*
*შენი სიცოცხლე და დაგაბეროს!*

> ***„რაც უნდა აკადემიურად წარმატებული იყო, ეს არაფერია მშობლიური მუნიციპალიტეტისთვის, თუ გაწყვიტე კავშირი შენს კუთხესთან, მე კი მშობლიური მხარის სიყვარული გამყვა არა მხოლოდ დედაქალაქში, არამედ ქვეყნის ფარგლებს გარეთაც და ეს სიყვარული ჩემთვის ერთგვარი საზრდოცაა***

# შვილებსა და შვილიშვილებს ერთმანეთისა და ადამიანების სიყვარულს ასწავლის

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

*სემინეთ ცეცხლაძე-დარჩიძე მალე დაბადებიდან 80 წლისთავს აღნიშნავს. განვლილ გზაზე იგი „აჭარასთან“ საუბრობს, რაც წინა და 21-ე საუკუნეში ქალმა, დედამ გადაიტანა*

- დავიბადე მაწყვალთელი ნუსხედინ ცეცხლაძის მრავალშვილიან ოჯახში. დედა - გული დავითაძე, სოფელ გუნდაურიდან გახლდათ. ყველა თანასოფლელის მსგავსად, რთული ბავშვობა გამოვიარე. ახლაც ყურში ჩამესმის ჩვენი ახლობლის ალი ცეცხლაძის სამჭედლოდან გრდემლისა და ჩაქუჩის მონოტონური კაკუნის ხმა. ცნობისმოყვარე გოგო-ბიჭები ვაკვირდებოდით, როგორ ჭედდა გავარვარებული ლითონისაგან სასოფლო-სამეურნეო იარაღებს, ოფლში იღვრებოდა. რამდენჯერ გამჩენია სურვილი, რომ გრდემლზე ჩაქუჩი მეც შემომეკრა. მაწყვალთის 8-წლიანი სკოლის დაწყებითი კლასების მოსწავლე ვიყავი, როცა ოლადაურიდან მაწყვალთამდე საავტომობილო გზა გამოიყვანეს და სოფელში ავტომობილი პირველად შემოვიდა. ახლა ჩემი შვილიშვილები და შვილთაშვილები კვირაში ორჯერ ბათუმიდან სოფელში მიმოდიან. ჩვენთვის ქალაქის ხმაური, მოლივლივე ზღვა, მატარებელი სანატრელი იყო. 1964 წელს მახალაკიძეებში რომ გავთხოვდი, სოფლებში დენიც არ იყო. ამ სიკეთეს რამდენიმე წლის შემდეგ ვეზიარეთ. ჰოდა, განსაჯეთ, როგორი ბავშვობა მქონდა. ახლა შვილებს, შვილთაშვილებს რომ ვუცქერი, გული სიხარულით მევსება. ისინი ინტერნეტსივრცეში ისე დანავარდობენ, როგორც თევზები წყალში. პირველ კლასში რომ შევედი, დედაენის წიგნი, ქართული წერის რვეული სანთლით საძებარი იყო. სამ მოსწავლეს ერთი წიგნი გვქონდა. ჩანთა ჯვალოსგან იყო შეკერილი, ხან მელანი ჩაგვექცეოდა შიგ, ხან წვიმაში გვისველდებოდა. სწავლა მაინც არ გვეზარებოდა, კარგი მასწავლებელიც გვყავდა. სკოლიდან გბრუნდებოდით თუ არა, ან პირუტყვს ვმწყემსავდით, ან ფარდულში თამბაქოს ფურცლების ანემსვით ვიყავით დაკავებული.

**- კარგი მოსწავლე ყოფილხართ და უმაღლესი განათლების მიღება რატომ არ ისურვეთ?**

- ოლადაურის საშუალო სკოლაში სწავლისას მახალაკიძეებელმა ოთარ დარჩიძემ დამადგა თვალი. ოჯახი ადრეულ ასაკში შევქმენი. არც ვნანობ. შრომამ წარმომაჩინა, საზოგადოებაში ავტორიტეტი მომიტანა. მაშინ ავტორიტეტის მოპოვება, სოფლის, ქვეყნის წინაშე თავის წარმოჩენა არც ისე იოლი იყო, დიდ ენერგიას, მიზანმიმართულ შრომას ითხოვდა. ინტელიგენტს ის წარმატება, აღიარება არ მექნებოდა, რაც მეთამბაქოეობაში შრომით მოვიპოვე - ქვეყნის უმაღლესი ჯილდო მერგო. ამას ისიც დაემატა, რომ 4 წლის განმავლობაში აჭარის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს დეპუტატი ვიყავი.

**- ალბათ, ოჯახი ხელს გიწყობდათ?**

- მახალაკიძეებელ დარჩიძეებს საამაყო ბევრი აქვთ. 21-ე საუკუნეში ბადრი, ავთანდილ, ეთერ დარჩიძეების სახით, წარმატებული ხელოვანები გვყავს. ჩემი მიზანი იყო, შვილებიც წინაპრების ადათ-წესების კვალზე გამეზარდა. რომან და გენადი დარჩიძეების სახით, კარგი შვილები გავზარდე. ისიც მახსოვს, პატარებისთვის ერთი აკვანი თამბაქოს ფარდულში რომ მედგა. მეუღლე, დედამთილ-მამამთილი ხელს მიწყობდნენ. სიამტკბილობა სუფევდა ჩემსა და დედამთილს შორის. ახლა ის სიყვარული ჩემს რძლებზე გადამაქვს. წუთისოფელში ერთმანეთის სიყვარული, ერთმანეთის გატანაა ყველაზე ძვირფასი განძი. ახლაც, ოთარი და მე, 80 წელს ვუახლოვდებით და ერთმანეთს ვეფერებით, რაც შვილებისა და შვილიშვილებისთვის მისაბაძია. ვამაყობ, რომ მახალაკიძეებში მცხოვრები, თუნდაც აქედან გადასული დარჩიძეების გვარში, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული პიროვნება არ გვყავს. მაზლი ზურაბი მახალაკიძეების საჯარო სკოლის დირექტორია. ერთ ხანს, ამ საგანმანათლებლო კერას ჩემი შვილიც ედგა სათავეში. რომანი ამჟამად შუახევის საოლქო საარჩევნო კომისიაში საქმიანობს. შვილიშვილებიც დასაქმებულები არიან როგორც საჯარო სამსახურებში, ასევე, კერძო სექტორშიც.

**- ოთხი შვილიშვილის, 7 შვილთაშვილის მომსწრე ხართ...**

- 75 წლის რომ გავხდი, მას შემდეგ ფუნქციები გავცვალეთ - ახლა ჩემი შვილები და შვილიშვილები ზრუნავენ ჩემზე. სითბოს, სიყვარულს, ყურადღებას არ მაკლებენ და სხვა რა უნდა მოხუცს. ვცხოვრობ შვილიშვილების სიყვარულით და ვტკბები მათი ცქერით. გაზაფხულს, ზაფხულსა და შემოდგომას სოფლად ვატარებთ მე და ოთარი. შვილიშვილები ხშირად გვსტუმრობენ, გვანებივრებენ სითბოთი და სიყვარულით. მათი ძირძველ კერაზე ერთად შეკრება სიცოცხლეს მიხანგრძლივებს. ეზოში მანქანა რომ გაჩერდება და იქიდან გადმოდიან, გული სიხარულით მევსება. ვაჟებთან ერთად, გოგონებიც კარგად მართავენ მანქანას, ჩემს ახალგაზრდობაში კი ქალი საჭესთან სირცხვილად ითვლებოდა.

**- თქვენი თაობის ადამიანები კომუნისტურ ხანას აძაგებენ?**

- როცა საქმე საბჭოთა კავშირს ეხება, ადამიანები სამ კატეგორიად იყოფიან. ერთნი ამბობენ, რომ ცხოვრება კარგი იყო, 37 მანეთად დაფრინავდი მოსკოვში, სახლი, სამსახური, საჭმლის ფული ყველას ჰქონდაო. მეორენი ამტკიცებენ, რომ სოციალიზმი მონობაა და მთელი 70 წლის განმავლობაში ხალხი სწორედ რომ მონობაში ცხოვრობდაო, მესამენი კი - „საბჭოთა კავშირი ცუდი იყო, მაგრამ“... მე ვფიქრობ, ადამიანი ყველა პერიოდში იქნება კარგად, თუ ის მშრომელია. კომუნისტების პერიოდში შრომით მოვიპოვე არაერთი დამსახურებული ჯილდო. ახლაც, თვალს რომ ვავლებ ჩვენ ირგვლივ ხალხს, ვინც შრომობს, მას აქვს ყველაფერი და კარგად ცხოვრობს, ზარმაცი კი ყველა დროში უქონელია. ცხოვრებას ყოველთვის უნდა აუწყო ფეხი, მიჰყვე მის ტემპს.

**- შთამომავლობას რას ასწავლით?**

- ჩემს შვილებს და შვილიშვილებს ერთმანეთის და ადამიანების სიყვარულს ვასწავლი დღემდე. უნდა იყო კაცთმოყვარე, ღვთის მოშიში, რომ უფლისგან ბოძებული სიცოცხლე ჭეშმარიტად შეირგო. მთელი შეგნებული ცხოვრება ვცდილობდი, ადამიანების სიყვარული და პატივისცემა მომეპოვებინა, მსურს, შთამომავლობამაც ასე იცხოვროს. ადამიანებში უბრალოება მიყვარს. წარმატებების მიუხედავად, თავი ცარიელი თავთავივით მაღლა არ ამიწევია.

# „ჩემში ადამიანს ვუფრთხილდები“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

***ანა ანანიძეს** ჩვენი მკითხველი იცნობს როგორც ლიტერატურულ პროექტ „პეგასის“ გამარჯვებულს. ახლახან „თავისუფალმა სივრცემ“ ამ საინტერესო ქალბატონს, პოეტსა და პედაგოგს უმასპინძლა. მალე ის პოეტური კრებულითაც წარსდგება ფართო აუდიტორიის წინაშე. ამ წიგნის პირველი შემფასებლები „თავისუფალი სივრცის“ მსმენელები იყვნენ. ქალბატონმა ყანამ ჩვენს შეკითხვებს უპასუხა და თავის პოეტურ სამყაროში გვამოგზაურა*

**- საკუთარ პერსონას როგორ წარმოგვიდგენთ?**

- პირველ რიგში, თქვენს მკითხველს გულღია სალამს ვუგზავნი. შემდეგ კი ვიტყვი: უბრალო ადამიანი ვარ, ვფიქრობ, ჩემი შემოქმედება საკმაოდ მეტყველებს ჩემზე.

**- რამ გიბიძგათ შემოქმედებისაკენ და თქვენი ინსპირაციის წყარო?**

- უსამართლობისა და ტკივილის შეგრძნებამ მიბიძგა შემოქმედებისაკენ. ვინც პატარაობიდანვე მიცნობს, იცის, რომ ბავშვობაში ზედმეტად ჩაკეტილი ვიყავი, მიჭირდა სხვებთან კომუნიკაციის დამყარება. ცხრა წლის ასაკში, ვაუას „ამოდის, ნათდება“ წავიკითხე, ისეთი განცდა მქონდა, ჩემმა შინაგანმა ხმამ ფურცლებზე გადმოდინება მთხოვა... როცა ჩემი და შეეძინა დედას, ბებია მზრდიდა, ბევრი რამ ვისწავლე მისგან. მერე ბებია ამქვეყნიდან წავიდა და ამხელა სამყაროსთან მარტო დავრჩი, მხოლოდ სიზმრებში ვხედავდი ჩემს საყვარელ ადამიანს, ვერაფერს ვაკეთებდი, უსუსურმა პატარა ბავშვმა ვიგრძენი ჩემი მეობა. ყველაფერს, რაც მაწუხებდა, კალამს ვუყვებოდი ან ზღვას... უკვე დიდობაში ლიტერატურულ კონკურს „პეგასში“ მივიღე მონაწილეობა, 2020 წელს ჟიურის რჩეული გავხდი, ხოლო 2023 წელს - პროექტის გამარჯვებულიც. ჩემთვის ეს სამოტივაციო აღმოჩნდა და პასუხისმგებლობაც ვიგრძენი, მეტად გამიჩნდა საკუთარი თავის გამოხატვის სურვილი.

**- „თავისუფალმა სივრცემ“ უმასპინძლა თქვენი პოეზიის საღამოს - „ციდან გულში გადმოსული ღმერთის პოეტიკა“. გვიამბეთ ამის შესახებ...**

- საკუთარი ნაწერები თემატურად შევკრიბე. სანამ წიგნად გამოვცემდი, ვიფიქრე, უკეთესი იქნებოდა მკითხველთან შეხვედრა.

ჩემი პოეტური კრებულის სახელია „თვითობა“, ხოლო პოეზიის საღამოს სახელწოდება ლიტერატორს, მთარგმნელსა და პოეტს - ზაალ ჯალაღონიას ეკუთვნის. „ციდან გულში გადმოსული ღმერთის პოეტიკა“ - ასე უწოდა ბატონმა ზაალმა ჩემი პოეტური კრებულის წარდგენას. ვინაიდან „ღმერთი მოკვდა“ და ის ცაში არ არის, მან ჩვენს გულში დაივანა. ვფიქრობ, ეპოქალური პრობლემაა დღეს უღმერთობა, რადგან სამყარო დგას ტექნოლოგიების და ცაზე ფარდის ახდის წინაშე და ის საყრდენი, რაც ჰქონდა ადამიანს, ასე თუ ისე გამოეცალა, ახალს ვერაფერს ვიტყვი, უბრალოდ, შემიძლია სინამდვილე და ადამიანის გასაჭირი ჩემებურად მოვყვე და ასეც ვიქცევი. გიწოდონ პოეტი, არ ნიშნავს, მხოლოდ წერდე. დღეს ხშირად ამბობენ, ლექსი არ იწერებაო. ყველა ეპოქაში ლექსი ჰგავს ადამიანს და კულტურას, იმუამინდელ მდგომარეობას. „დღეს, არ იწერება არცერთი ლექსი, დღეს პოეზია იხატება, როგორც ცხოვრება“... პოეტი ნიშნავს, იყო ადამიანობის მაგალითი, ყოველთვის, როცა მომმართავენ, როგორც „პოეტს“, მრცხვენია. რა გამიკეთებია კარგი ჩემი სამშობლოსთვის, ხალხისთვის? თუმცა ვცდილობ, ნამდვილად ვცდილობ. მინდა ჩემი მცირედი ცოდნა გავუზიარო ბავშვებს, რადგან განათლება ებრძვის სიბნელეს. განათლება იწყება სკოლიდან და იქ დავრჩი, ბავშვებთან, მათ მეგობრად...

**- „ლექსი განა იმისთვის იწერება, რომ რამე განმარტოს“ - თაგორის ამ შეხედულების თქვენეული გააზრება?**

- ავტორს უჭირს თავისი ნაწერის შესახებ ისაუბროს და ის ემოცია გადმოსცეს, რასაც წერის დროს განიცდის. ლექსები, ზოგჯერ, უბრალოდ იწერება, ყოველგვარი განმარტების გარეშე და მეტიც, ლექსია მნიშვნელოვანი და არა - ავტორი.

**- როგორც პედაგოგს, რა შეგიძლიათ გვითხრათ საკუთარ გამოცდილებასა და საერთოდ, ამ პროფესიაზე...**

- პირველ რიგში, უდიდესი პასუხისმგებლობაა, იყო პედაგოგი და ამ სტატუსს ატარებდე. როგორც ცუდი ექიმი ანადგურებს პაციენტის ხორცს, ასევე, ცუდ პედაგოგს შეუძლია დააზიანოს სული. იყო მასწავლებელი ნიშნავს, არასდროს წყვეტდე სწავლას, მუდამ უნდა შეგეძლოს მოსწავლის გაგება. ბავშვებს მოსმენა სჭირდებათ, ყველა მასწავლებელს ვუსურვებ მოთმინებასა და დიდ სიყვარულს. გამუდმებით პატიება - ეს არის პედაგოგიკა.

**- რა არის თქვენი საწუხარი და რა გახარებთ?**

- ყველას თავისი დარდი აქვს. ჩემი საწუხარი ადამიანია და ადამიანივე მახარებს. ჩემში ადამიანს ვუფრთხილდები.

**- თვისება, რომელიც ყველაზე მეტად გახარებთ?**

- ყოველ ადამიანს აქვს რაღაც, რაც მასში მზესავით ანათებს. უბრალოება...

**- რომელ სიტყვას ან ფრაზას იყენებთ ხშირად?**

- აწმყო - ეს ერთადერთი რეალური დროა...

**- დღე, მოვლენა, რომელიც დაუვიწყარია თქვენთვის და ახალ გზებს გისახავთ?**

- ყოველი დღე ახალი გზაა, არასდროს ვნებდები და ყველა სირთულის მიუხედავად, ვაგრძელებ ყვავილობას.

**- როცა მომავალზე ფიქრობთ... და საერთოდ, რა არის მომეტებულად თქვენი ფიქრის საგანი?**

- მომავალზე და წარსულზე არ ვფიქრობ. ერთადერთი დრო აწმყოა. ვფიქრობ, რაღაც ახალი ვისწავლო და სხვას გავუზიარო.

**- თქვენი დამოკიდებულება ტრადიციებთან, რა მოგწონთ, რა - არა?**

- ტრადიციებს პატივს ვცემ, თუმცა ისეთი ტრადიციები, რომლებიც ადამიანს რაიმე კუთხით აკნინებს, ან უფლებებს უზღუდავს, ჩემთვის მიუღებელია.

**- ახლანდელ პირობებში როგორ გრძნობთ თავს, ანუ თქვენ და ტექნოლოგიური სიახლეები...**

- სულ ვჩქარობ და მინდა ამ ბეტონის ბაღებს გავცილდე, დედაბუნებას დავუბრუნდე. თავს კარგად ვერ ვგრძნობ ურბანულ სოფელში. ტექნოლოგიებს უამრავი დადებითი მხარე აქვს, თუმცა ცოცხალი ურთიერთობები ჩაკლა.

**- წიგნი და პერსონაჟი, რომელიც გამორჩეულად გიყვართ და გასაზრდოებთ?**

- ყველაზე დიდი ჭეშმარიტება - ზღაპრებში მოთხრობილი. არასდროს უნდა მოკლა შენში პატარა ბავშვი, არ მისცე თავს უფლება, წვიმაში ყვავილების მორწყვა აგიკრძალონ, არც ათასობით ვარსკვლავს შორის შენი ვარსკვლავი ვერ დაინახო... მიჭირს დასახელება.

**- გინატრიათ წამის შეჩერება?**

- ჩემთვის წამი ჩერდება, როცა ვეხები ყვავილებს და ვგრძნობ სიცოცხლეს. ამ ცხოვრებაში ზღვა ვარ, შემდეგში ყვავილი ვიქნები.

**- კიდევ რის თქმა გსურთ?**

- მადლობის გარდა - არაფრის.

# 1937-1938 წლებში რეპრესირებული ქალები - აჭარიდან

10 წელი გაატარა რუსეთის ფედერაციის ჩრდილოეთის მხარის შრომა-გასწორების ბანაკში ნადეჟდა კანევსკაიამ. ბრალეულობა ის იყო, რომ არ ამხილა ქმარი - ვსევოლოდ მიხეილის ძე კანევსკი, რომელიც ბათუმის ხის დამამუშავებელ ქარხანაში ინჟინრად მუშაობდა და კონტრრევოლუციურ-ტროცკისტულ

საქმიანობას აბრალებდნენ. ვსევოლოდ კანევსკი 1937 წლის სექტემბერში დახვრიტეს და მეუღლე და ვაჟიშვილიც, როგორც ქმრის „მავნებლური საქმიანობის“ თანამონაწილენი, მკაცრად დასაჯეს. საპატიმროსა თუ შრომა-გასწორების ბანაკში ყველგან უმძიმესი მდგომარეობა იყო. ნადეჟდა კანევსკაიამ გადასახლებაში დიდი სიძნელეები გადაიტანა, მაგრამ ჯანმრთელობა შეინარჩუნა და სასჯელის მოხდის შემდეგ, 1947 წელს, დაბრუნდა ბათუმში. ნადეჟდა კანევსკაიას რეაბილიტაცია მოხდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის 1956 წლის დადგენილებით.

ნინა (ნორა) კალისტრატეს ასული გოძიაშვილი-აბაშიძე ბათუმში 1912 წელს დაიბადა. დაპატიმრებისას, 1937 წელს, თბილისში ცხოვრობდა, რუსთაველის ინსტიტუტში მეცნიერ თანამშრომლად მუშაობდა. ნინა გოძიაშვილს ბრალად ედებოდა, თითქოს ირიცხებოდა მემარჯვენეთა კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში, ცდილობდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობას და კაპიტალიზმის აღდგენას საქართველოში. ნინა გოძიაშვილის მეუღლე, ასევე, შერაცხული იყო მემარჯვენეთა კონტრრევოლუციური ორგანიზაციის აქტიურ წევრად. ნინა გოძიაშვილის წინააღმდეგ გამოიყენეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ორი მუხლი: 58-10 და 58-11, რაც ნიშნავდა პროპაგანდას საბჭოთა ხელისუფლების დამხობის მიზნით და ორგანიზებულ ქმედებას დანაშაულის მომზადებისა და ჩატარებისათვის. ამ ფალსიფიცირებული ბრალდების საფუძველზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის 1937 წლის 31 დეკემბრის დადგენილებით, ნინა კალისტრატეს ასულ გოძიაშვილს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. იგი გადასახლეს რუსეთის ფედერაციის აღმოსავლეთით, უკაცრიელ მხარეში. როგორც ყველა გადასახლებულმა, უმძიმეს პირობებში გაატარა ცხოვრების საუკეთესო წლები. ამჟამად ნინა კალისტრატეს ასული გოძიაშვილი-აბაშიძე, როგორც უდანაშაულოდ დასჯილი, ქმართან ერთად რეაბილიტირებულია და საქართველოს პარლამენტის 1997 წლის 11 დეკემბრის კანონით აღიარებულია პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად.

საქართველოს შინსახკომთან არსებული სამეულის 1938 წლის 8 თებერვლის დადგენილებით 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა თამარ ვიქტორის ასულ მესხს. იგი ბათუმში 1913 წელს დაიბადა, დაპატიმრებისას იყო საქართველოს სატყეო მეურნეობის ინსტიტუტის V კურსის სტუდენტი. ბრალად ედებოდა ახალგაზრდა მარქსისტთა არალეგალური ორგანიზაციის წევრობა. საქართველოს შინსახკომთან არსებული სამეულის დადგენილებაში ეს ორგანიზაცია დახასიათებულია როგორც კონტრრევოლუციური, ფაშისტური, ტერორისტული, მოჯანყე, დივერსიული, მავნებლური. თამარ მესხი ამ ორგანიზაციის მეშვეობით თითქოს ანტისაბჭოთა, კონტრრევოლუციურ საქმიანობას ეწეოდა. ამ ფალსიფიცირებული ბრალდებით თამარ მესხმა 10 წელი გაატარა გადასახლებაში. ამჟამად იგი რეაბილიტირებულია დანაშაულის არარსებობის გამო.

მემედ აბაშიძის დახვრეტის შემდეგ დაპატიმრეს მისი შვილები იფეთი და იბრაიმი, რომლებმაც ახალგაზრდობის საუკეთესო წლები პატიმრობაში გაატარეს. იფეთ მემედის ასულ აბაშიძეს (დაბადებულია 1894 წელს) ბრალად ედებოდა აგიტაცია-პროპაგანდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობისათვის (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლი). ამ ცრუ ბრალდებით 1937 წელს გადაასახლეს რუსეთის ფედერაციის უკაცრიელ მხარეში, სადაც გაუსაძლის პირობებში 8 წელი გაატარა. გადასახლებიდან 1946 წელს გაათავისუფლეს, მაგრამ იმდენად დაგლახებული იყო, რომ ოჯახიც არ შეუქმნია. იფეთ აბაშიძეს, როგორც მის ძმა იბრაიმს, წლების განმავლობაში აკრძალული ჰქონდა მშობლიურ ქალაქში ცხოვრება. გადასახლებიდან დაბრუნების 10 წლის შემდეგ მოხდა იფეთ აბაშიძის, მისი მამისა და ძმის რეაბილიტაცია. ამჟამად ყველა აღიარებულია პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად.

შინსახკომის ჯალათებმა 1937 წელს დაპატიმრეს ბათუმის წინდების საწარმოს გამგე ბაბილონა ბიჭიკოს ასული კაკულია და მისი ქმარი. მათი დაპატიმრების საბაბი ის იყო, თითქოს ტროცკისტული ორგანიზაციის წევრები იყვნენ და ანტისაბჭოთა საქმიანობას ეწეოდნენ. წინდების საწარმო აჭარის სოციალური უზრუნველყოფის კომისარიატის სისტემაში შედიოდა და ბაბილონა კაკულია აშკარად გამოხატავდა, რომ კომისარი მოედინ სურმანიძე და მისი მოადგილე პარმენ ცხოიძე უსამართლოდ იყვნენ დაპატიმრებული. ამ შეთხზული ბრალდებით ბაბილონა კაკულია ჯერ დააპატიმრეს და მერე კომუნისტური პარტიიდან გარიცხეს, რომლის წევრი 1932 წლიდან იყო.

ანალოგიური ბრალდებით 1937 წელს დააპატიმრეს აჭარის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ბავშვთა კომისიის თანამშრომელი სოფიო დადიანი და ამავე ორგანიზაციის წინდების საწარმოს დირექტორი აიშე ქიქავა. ისინი შერაცხეს „კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტებად“ და „ხალხის მტრებად“. ამ ბრალდების მოტივაცია ის იყო, რომ სოფიო და აიშე ბავშვთა კომისრის მდივან ხასან ლორთქიფანიძის დაპატიმრებას არასამართლიანად თვლიდნენ და თანაუგრძნობდნენ მას. ისინი მოხსნეს თანამდებობებიდან და სოფიო დადიანი პროფკავშირიდან გარიცხეს, ხოლო აიშე ქიქავა - კომუნისტური პარტიიდან.

ესფირ იაკობის ასული ოვაკიმიანი, ეროვნებით სომეხი, კომუნისტური პარტიის წევრი 1932 წლიდან, აჭარის საშინაო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის აპარატში მუშაობდა. კომისარიატის პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ კომუნისტური პარტიიდან 1937 წლის 28 ივლისს გარიცხა. შემდეგ შინსახკომის ჯალათებმა დააპატიმრეს. მას ბრალად ედებოდა, რომ თითქოს არ ამხილა ქმარი მიხეილ ართუნის ძე ოვაკიმიანი, რომელიც სარეწაო კავშირის არტელ „მკერავის“ თავმჯდომარედ მუშაობდა. ტროცკისტებთან კავშირის ბრალდებით მიხეილ ოვაკიმიანი 1937 წელს დახვრიტეს. მეუღლე ესფირ ოვაკიმიანი, ამ აქტით აღშფოთებული, იცავდა ქმარს, როგორც უდანაშაულოს, აკრიტიკებდა ხელისუფლებას გამაოგნებელი ბარბაროსობის გამო. ესფირ ოვაკიმიანი ყალბი ბრალდებით რუსეთის ფედერაციის უკაცრიელ მხარეში გადაასახლეს, სადაც ტანჯვა-წვალებით წლები გაატარა. ამჟამად ესფირ იაკობის ასული ოვაკიმიანი და მისი ქმარი რეაბილიტირებული არიან დანაშაულის არარსებობის გამო. ისინი აღიარებული არიან პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად.

ეფემია სავას ასული ვერენიდი, დაბადებული 1904 წელს, კომუნისტური პარტიის წევრი 1931 წლიდან, ეროვნებით ებრაელი, ბათუმის პორტის უფროს ისაკ აბრამის ძე ვერენიდის მეუღლე იყო. ისაკ ვერენიდი კონტრრევოლუციურ-ტროცკისტული საქმიანობის ყალბი ბრალდებით 1937 წლის დეკემბერში დახვრიტეს. ეფემია ვერენიდი, რომელიც ჯალათებმა მავნებლად გამოაცხადეს, გარიცხეს კომუნისტური პარტიიდან და დაპატიმრეს.

მარიამ ფიოდორის ასული კროპინა, ეროვნებით რუსი, სერაფიონ ბატურინის მეუღლე იყო. ქმარი ბათუმის ნავთობპროდუქტების გადასხმის ბაზაში საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მუშაობდა და კონტრრევოლუციურ-ტროცკისტული საქმიანობის ცრუ ბრალდებით 1937 წელს დახვრიტეს. ცოლი, მარიამ კროპინა, დამნაშავედ შერაცხეს იმის გამო, რომ არ ამხილა ქმრის თითქოსდა მავნებლური, ანტისაბჭოთა საქმიანობა. მარიამ კროპინა დაბეჯითებით იცავდა ქმარს, დარწმუნებული იყო მის პატიოსნებაში. შინსახკომის ჯალათებმა მარიამ კროპინა იმ მომენტში დააპატიმრეს, როდესაც საპატიმროში ქმარს ამანათი მიუტანა. იგი ქმრის თანამზრახველად, თანამონაწილედ გამოაცხადეს. საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის ბიუროომ მარიამ კროპინა პარტიიდან გარიცხა, რომლის წევრი 1932 წლიდან გახლდათ. ამჟამად მარიამ ფიოდორის ასული კროპინა და მისი ქმარი სერაპიონ ბატურინი რეაბილიტირებული არიან დანაშაულის არარსებობის გამო.

ასეთივე ბედი ერგო ცაკიდს. იგი ეროვნებით ბერძენი იყო და ქმართან ერთად ქ. ბათუმის თამბაქოს ფაბრიკაში მუშაობდა. ცაკიდის ქმარი ევკლიპტ დიმიტრის ძე მარანტიდი ფაბრიკაში წარმოების უფროსი იყო, რომელიც კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტობის გამოგონილი ბრალდებით 1937 წელს დახვრიტეს. მისი ცოლი ცაკიდი იცავდა ქმარს, როგორც უდანაშაულოს. ცაკიდს ბრალად წაუყენეს ის, რომ თითქოს დამალა ქმრის ანტისაბჭოთა საქმიანობა და მას საპატიმროში ამანათი მიუტანა. საბოლოოდ თავადაც რეპრესიებში მოჰყვა.

შინსახკომის ჯალათები 1937-1938 წლებში მასობრივად აპატიმრებდნენ აგრეთვე რიგით ადამიანებს, რომელთაც თანამდებობები არ ეკავათ სახელმწიფო, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და სამეურნეო ორგანიზაცია-დაწესებულებებში. ცხადია, ისინი გამოთქვამდნენ წუხილს ქვეყანაში არსებული მძიმე ვითარების გამო. ამის შესახებ ჩვეულებრივი საუბარი შინსახკომის ჯალათების ყურადღების გარეშე არ რჩებოდა. ამ ადამიანების შესახებ თხზავდნენ ყალბ საქმეებს, მათ აბრალებდნენ ანტისაბჭოთა პროპაგანდას, დანაშაულის დაფარვას, განუცხადებლობას, ჯაშუშობას, ტერორს, ორგანიზებულ ქმედებას დანაშაულის მომზადებისა და განხორციელებისათვის და სხვა.

ამგვარი ყალბი ბრალდებების საფუძველზე უდანაშაულო ქალებს 8-10 წლით ასახლებდნენ რუსეთის ფედერაციის ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით, ყაზახეთისა და შუა აზიის მხარეებში. ისინი, როგორც სხვები, მძიმე, გაუსაძლის პირობებში სასჯელს იხდიდნენ საპატიმროებსა და ქალთა კოლონიებში. მხოლოდ ქ. ბათუმიდან 1937-1938 წლებში 10 წლით გადაასახლეს ამ კატეგორიის 18 ქალი. მათ შორის ქართველია 7 (ეკატერინე მარტინის ასული ბარათაშვილი, ოლღა მიხეილის ასული გაბუნია, ტატიანა ალექსანდრეს ასული ყოღენტი, მელიცა ერმილეს ასული სხვიტარიძე, ბარბარე ვლადიმერის ასული ქარსელაძე, მარია ივანეს ასული ჯღარკავა, ანა ათანასეს ასული ხუჩევაია). არაქართველია 11 ქალი. მათ შორის იყვნენ რუსი, ებრაელი, სომეხი, ბერძენი, უკრაინელი და სხვა ეროვნების წარმომადგენლები, რომლებიც ბათუმსა და მის შემოგარენში სახლობდნენ. 10 წლით გადასახლებულ არაქართველთა არასრულ სიაში შედიან: აგნია პავლეს ასული ბარბაშევა, ვერა მაქსიმეს ასული გენერალნიკოვა, ლუკერია კონსტანტინეს ასული დუსი, ვერჯინ მიხეილის ასული კეშეკინი, ელენე იაკობის ასული მეგოვორიანი, ლიდია ალექსანდრეს ასული ნიუბერგი, ქსანა ალექსანდრეს ასული სტროგია, მალინა გრიგოლის ასული ვოსტოკი, მარია იოსების ასული ცეი, ანა ფრიდონის ასული ეფენდიევა და სხვები. სისხლის სამართლის კოდექსის 58-10, 58-11 მუხლების გარდა არაქართველების მიმართ გამოყენებულია 58-2, 58-6, 58-8, 80, 84 მუხლები, რაც გულისხმობდა ბრალდებებს აჯანყების განხორციელების მცდელობის, ჯაშუშობის, ტერორისტული აქტების მოწყობისთვის და სხვა.

აღნიშნულ რეგიონებში მხოლოდ ბათუმიდან 8 წლით გადაასახლეს 21 ქალი, მათგან ქართველია 10, არაქართველი - 11. მათ მიმართ გამოყენებული იყო სისხლის სამართლის კოდექსის იგივე მუხლები. ქართველებიდან 8 წლით გადასახლებებში იმყოფებოდნენ: ფერიდე ჯემალის ასული გოგიტიძე, გოგოლა ბარნაბის ასული გოგიბერიძე, ნუბიე ყემბერის ასული ვარშანიძე, მარიამ ლაზარეს ასული სიხარულიძე, მატილდა დიმიტრის ასული ფირცხალავა-ჟორდანია, მარიამ ვლადიმერის ასული ფოფხაძე-ქუთათელაძე, სოფიო არშაკის ასული ძნელაძე, ელისაბედ ივანეს ასული ტუღუში და სხვები. არაქართველებიდან 8 წლით გადასახლებული იყვნენ: სოფიო პლუტარქეს ასული ანასტასიადი, კლავდია ივანეს ასული იაკიმოვა, ლილი ალექსანდრეს ასული ლავნიკოვა, მარიამ ვასილის ასული ლებედევა, იდა იზრაელის ასული საბატინა, ნინა ნიკოლოზის ასული ჩოკოლო, ვალენტინა ილიას ასული კურკოსკაია, ლიდია ალექსანდრეს ასული ლავნიკოვიჩი, ვალენტინა ფილიმონის ასული პროცენკო და სხვები. ახალგაზრდა ქალებს მასობრივად აპატიმრებდნენ იმ ბრალდებით, რომ რეპრესირებული ჰყავდათ ოჯახის წევრები და ნათესავები. კომკავშირის აჭარის საოლქო, ბათუმის საქალაქო და რაიონული კომიტეტები მათ კომკავშირიდან რიცხავდნენ, ამის შემდეგ შინსახკომის ჯალათები აპატიმრებდნენ. მაგალითად, 1937 წელს კომკავშირის რიგებიდან გარიცხეს მარგალიტა ჭაკვეტაძე, ვერა და ლუბა თურქიები, ქეთო ახალაძე, სარა ლიბერმანი, აგნია სავიცინა, ადილა ბერჩალიკინა, ქსენია ჯორბენაძე, კილინა მინაკაევა, მარიამ ცინცაძე, ლუდმილა კარტკოვა, ნადეჟდა გრეკოვა, ლარისა ლომთათიძე, ფორნენ ჯორბენაძე, მელექ დავითაძე, ფადიმე ლორთქიფანიძე, გული ბერიძე, ირინა შავიშვილი, შუშანა გოლიაძე, ლუბა ერქომაიშვილი, ნადეჟდა რეშეტკოვა, მარუსია ხუხუნაიშვილი და სხვები.

საქართველოს კომკავშირის ბათუმის საქალაქო კომიტეტმა 1937 წელს კომკავშირიდან გარიცხა მარგალიტა ირაკლის ასული ჭაკვეტაძე, დაბადებული 1912 წელს, საშუალო განათლებით, კომკავშირის რიგებში ირიცხებოდა 1929 წლიდან. ქალაქკომის ბიუროს დადგენილებაში ნათქვამია: „მარგალიტა ჭაკვეტაძე არის ფარული ტროცკისტი, საზიზღარი“... ამის მოტივაცია ის გამხდარა, რომ დაპატიმრებულ ძმასთან ჰქონდა შეხვედრები. ქეთევან ახალაძე, ვერა და ლუბა თურქიები იმიტომ გარიცხეს კომკავშირიდან, რომ მამების დაპატიმრებამდე მასთან ერთ სახლში ცხოვრობდნენ. სარა გრიგოლის ასული ლიბერმანი იყო ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის დირექტორ გინზბურგის მდივანი. გინზბურგის დაპატიმრების შემდეგ აკრიტიკებდა ხელისუფლებას, იცავდა გინზბურგს. ამის გამო სარა ლიბერმანი კომკავშირიდან გარიცხეს და დააპატიმრეს.

ლუბა თევდორეს ასული ერქომაიშვილი ქობულეთის რაიონის ხუცუბნის არასრულ საშუალო სკოლაში პიონერხელმძღვანელად მუშაობდა. 1937 წელს გარიცხეს კომკავშირიდან და გაათავისუფლეს სამსახურიდან იმ მოტივით, რომ კონტრრევოლუციურ-ტროცკისტობის ბრალდებით დაუპატიმრეს მისი ძმა და რძალი. ნადეჟდა რეშეტკოვა ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში მუშაობდა, კომკავშირიდან გარიცხეს და სამუშაოდან მოხსნეს იმ მიზეზით, რომ ამერიკაში ცხოვრობდა მისი ნათესავი, რომელთანაც მიმოწერა ჰქონდა. აგნესია კონსტანტინეს ასული სავიცინა 1937 წელს კომკავშირიდან იმიტომ გარიცხეს, რომ უსამართლოდ დაპატიმრებულ ქმარს იცავდა. არაერთხელ მიმართა განცხადებით საკონტროლო კომისიას ქმრის უდანაშაულობის შესახებ და მოითხოვდა მის განთავისუფლებას. ამრიგად, ტრაგიკული 37-38 წლები საბჭოთა რეჟიმის შავ ლაქად რჩება. ქალების დაპატიმრება-დახვრეტებით რეპრესიებმა კულმინაციურ წერტილს მიაღწია, ამგვარი ტრაგედიების მოშუშება შეუძლებელია. უდანაშაულო ადამიანების, პირველ რიგში ქალების რეპრესიებმა ერთხელ კიდევ აშკარად აჩვენა რეპრესიების ავტორების, ორგანიზატორების, დამსჯელი ჯალათების ველურობა, სიმხეცე. აი, სწორედ ამან განაპირობა საბჭოთა რეჟიმის ნგრევის გარდაუვალობა.

**ოთარ თურმანიძე,**
**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,**
**პროფესორი**

**დასასრული. დასაწყისი იხ. „აჭარა“ №№4, 5, 6, 7, 8.**

# ქობულეთის მუნიციპალიტეტის საქმიანობის აუდიტის ანგარიში

***სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2021-2022 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი ჩაატარა, რომლის შედეგად მნიშვნელოვანი დარღვევები გამოვლინდა***

აუდიტის ინფორმაციით, გამოიკვეთა ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებით ხარვეზები.

„2021-2022 წლებში ბიუჯეტის შემოსულობების გეგმური მაჩვენებელი ჯამურად 89,1%-ით, ხოლო გადასახდელებისა - 86,4%-ით შესრულდა. ამასთანავე, ბიუჯეტის ანგარიშზე არსებული თავისუფალი საბიუჯეტო სახსრები არასრულადაა გამოყენებული. აღნიშნული მუნიციპალიტეტის მფლობელობაში არსებული ფინანსური რესურსების არაეფექტიან მართვასა და სხვადასხვა პროექტის დაგეგმვის ხარვეზებზე მიუთითებს“, - ვკითხულობთ ინფორმაციაში.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა კონტროლის სისტემა ვერ უზრუნველყოფს სახელმწიფო შესყიდვების სათანადო დაგეგმვა-განხორციელებას, რაც შესყიდული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის გონივრულ ვადაში გამოუყენებლობასა და მათში არსებულ ხარვეზებში გამოიხატება. შედეგად, ვერ მოხერხდა მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება და შესაბამისი სარგებლის მიღება. ამასთანავე, სამშენებლო საქონლისა და სამუშაოების საბაზრო ღირებულებების ცვლილებების გათვალისწინებით, საპროექტო დოკუმენტაციის გამოყენების მომენტისათვის შესაძლოა საჭირო გახდეს მათი კორექტირება, რაც საბიუჯეტო სახსრების დამატებით ხარჯვასთან იქნება დაკავშირებული“, - აღნიშნულია ინფორმაციაში.

უწყების ცნობით, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა კონტროლის სისტემამ ვერ უზრუნველყო სათანადო ფინანსური და ტექნიკური შესაძლებლობების მქონე მიმწოდებლების შერჩევა, რამაც მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტების შეჩერება განაპირობა. ამასთანავე, ვალდებულებების შეუსრულებლობისა და საბანკო გარანტიის მოქმედების ვადის გასვლის მიუხედავად, ავანსად გაცემული თანხის დასაბრუნებლად მუნიციპალიტეტს სათანადო ღონისძიებები არ გაუტარებია.

აუდიტის ანგარიშში ვკითხულობთ, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიაში დანერგილი შიდა კონტროლის სისტემა ვერ უზრუნველყოფს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების შესრულების სათანადო დადასტურებას, რის გამოც ოთხ შემთხვევაში უწყებამ ვერ მიიღო რწმუნება შესყიდული სამუშაოსა და მომსახურების, სახელშეკრულებო პირობებთან შესაბამისობის შესახებ. ამასთანავე, არასრული სახით ხდება ხელშეკრულებების შესრულებასთან დაკავშირებით არსებული დოკუმენტაციის სისტემაში ატვირთვა, რაც ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგის შემაფერხებელ გარემოებას წარმოადგენს.

მკაფიოდ გამოიკვეთა შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები და ასევე, ტრანსპორტის ხარჯების ნაკლოვანებები, სადაც აღნიშნულია, რომ მუნიციპალიტეტის მერიაში არსებული შიდა კონტროლის სისტემა ვერ უზრუნველყოფს საწვავის მიზნობრივად ხარჯვის დოკუმენტურ დადასტურებას, რის გამოც უწყებამ ვერ მიიღო რწმუნება აუდიტის პერიოდში 52,070 ლიტრი საწვავის სამსახურებრივი დანიშნულებით გამოყენებასთან დაკავშირებით.

ინფორმაციაში ვკითხულობთ, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიერ სრულად არ არის აღრიცხული დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელთა რაოდენობა. შედეგად, სრულად არ ხორციელდება გადასახადის ადმინისტრირება.

აუდიტის გავრცელებულ ინფორმაციაში იკვეთება შიდა კონტროლის ნაკლოვანებები.

„მუნიციპალიტეტის შიდა კონტროლის სისტემები სრულყოფილად ვერ უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის ფინანსების მართვის გაუმჯობესებას, ინფრასტრუქტურული ღონისძიებების შესრულების მონიტორინგის, საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მიზნობრიობის და ეფექტიანობის ზრდის ხელშეწყობას“, - აღნიშნულია სახელმწიფო აუდიტის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ჩვენ დავუკავშირდით ქობულეთის მერიის წარმომადგენლებს. როგორც მათ გვითხრეს, აღნიშნულზე შარშან უკვე გაკეთდა კომენტარი და აღარ აპირებენ ამ თემაზე მიბრუნებას.

# ლეგენდები – ბათუმში, ანუ დიდი მატჩი...

პირველი გვერდიდან

**კახა კალაძე:**

- მოხარული ვარ, რომ კიდევ ერთხელ მომეცა „ინტერთან“ შეხვედრის შესაძლებლობა. მარკოსთან წლებია, მეგობრული ურთიერთობა მაქვს, მიუხედავად იმისა, რომ მოწინააღმდეგეები ვიყავით, ერთმანეთის პატივისცემა მუდამ გვქონდა, რაც ძალიან მნიშვნელოვანი და დასაფასებელია. უბედნიერესი ვარ, რომ „მილანში“ ვთამაშობდი. მართლაც საუკეთესო წლები იყო. როგორც ფეხბურთელმა ბევრს მივაღწიე, თუკი საკლუბო დონეზე რაიმეს მოგება იყო შესაძლებელი, ყველაფერი მოვიგე. მადლობას ვუხდი ორგანიზატორებს ამ შესანიშნავი პროექტისთვის. ასეთი თამაშები მნიშვნელოვანია ქართული ფეხბურთისთვის, სპორტის პოპულარიზაციისთვის, ჩვენი შვილებისთვის, უფროსებისთვის. ბათუმში მეგობრულ, კარგ მატჩს ველოდები. მჯერა, რომ სანახაობრივად საინტერესო იქნება, ქართველი გულშემატკივარი მსოფლიო დონის ვარსკვლავებს იხილავს ჩვენს ქვეყანაში. მადლობას ვუხდი სტუმრებს ჩამობრძანებისთვის. რაც შეეხება ჩემს პოზიციას, რა თქმა უნდა, დაცვაში ვითამაშებ. როგორ შეიძლება მინდოდეს „წინ“ თამაში, როცა გუნდში გვყავს შოთა არველაძე. ძალიან კარგი თამაში ელოდება მაყურებელს.

**ხავიერ ძანეტი:**

- მოხარულები ვართ აქ ყოფნით. დარწმუნებული ვარ, რომ ეს თამაში დაეხმარება არა მარტო იტალიურ, არამედ ქართულ ფეხბურთს. ვიცი, აქ ძალიან უყვართ ფეხბურთი. მჯერა, რომ სტადიონზე მოსულ მაყურებელს მე და ჩემი მეგობრები კარგ სანახაობას შევთავაზებთ. ეს იქნება ამხანაგური, მეგობრული თამაში.

**მარკო მატერაცი:**

- არაერთხელ მქონდა შესაძლებლობა, დავპირისპირებოდი ისეთ ფეხბურთელს, როგორიც კახა კალაძეა. სამწუხაროდ, ბევრჯერ მოგვიწია მატჩის დათმობა, რადგან ძლიერი გუნდი იყო. ხვალ ისევ გვექნება ერთმანეთთან შეხვედრის შესაძლებლობა. ეს ამხანაგური მატჩია, სადაც მხიარული ატმოსფერო და ბევრი ღიმილი იქნება. სტადიონი ვნახეთ და ძალიან მოგვეწონა. იმედი მაქვს, რომ ის ადამიანები, ვინც მატჩზე მოვა, ისიამოვნებენ. პრესკონფერენციის შემდეგ საქართველოს ნაკრების რამდენიმე წევრი „ბათუში არენაზე“ მივიდა, სადაც საქართველოში მილანის „ინტერის“ აკადემიის ბავშვთა გუნდს შეხვდა.

- ამ ამხანაგურ შეხვედრას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, ეს ჩვენთვის ძალიან დიდი გამოცდილება იქნება. ამისთვის დიდი მადლობა „ინტერის“ აკადემიის ხელმძღვანელობას. მომავალში ჩვენი განვითარებისთვის კარგი საქმე კეთდება, - თქვა საქართველოში მილანის „ინტერის“ აკადემიის გუნდის წევრმა ნიკო იორდანაშვილმა.

- ასეთი ღონისძიება, ამდენი ვარსკვლავის ერთად ხილვა, მნიშვნელოვანია ყველასთვის და გამორჩეულად ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის. ორივე გუნდი ყველაფერს გააკეთებს, რომ მაყურებელმა სანახაობრივად ისიამოვნოს. დარწმუნებული ვარ, კარგი საღამო იქნება, მაგრამ, რა თქმა უნდა, შედეგისთვის ვითამაშებთ და იმედია, რომ მივაღწევთ. არც ისე დიდი ხანია, ფეხბურთს არ ვთამაშობ, მაგრამ ნოსტალგია მაინც დიდია, ეს გრძნობა განსხვავებულია, დიდი სიამოვნებაა, - გვითხრა ვეტერანმა ფეხბურთელმა ლევან მჭედლიძემ.

# პლენარული სხდომა ოპოზიციამ პროტესტის ნიშნად დატოვა

პირველი გვერდიდან

კოლეგას გამოსვლა დაუწუნეს ოპოზიციონერმა დეპუტატებმა, რომელთა განცხადებით, კარგი იქნებოდა, მგალობლიშვილს ისევ სააკაშვილზე, მის 9-წლიან მმართველობაზე არ ესაუბრა და იმ პრობლემების გადაჭრის გზებზე გაემახვილებინა ყურადღება, რომლებიც რეგიონის მოსახლეობას აწუხებს.

- მეგონა, ერთ სიტყვას მაინც იტყოდა ბატონი ლადო აჭარის რეგიონის პრობლემებზე და, მათ შორის, მაღალმთიანი აჭარის მოსახლეობის გასაჭირზე. იცით, რომ ასეულობით ოჯახი დარჩა ღია ცის ქვეშ, ერთი თვე გავიდა და შესაბამისი რეაგირება არ მომხდარა ხელისუფლების მხრიდან. რეალურად, ეს მოსახლეობა დატოვეს 300-ლარიან დახმარებაზე. არაერთი ოჯახი, მათ შორის, მცირეწლოვანი ბავშვები დიდი საფრთხის ქვეშ იმყოფებიან. მართლა გაოცებული ვარ, როგორ შეიძლება აქ მშვიდად ისხდეთ, საუბრობდეთ სააკაშვილზე, როცა სტიქიით დაზარალებული ოჯახები ღია ცის ქვეშ, შეიძლება ითქვას, ჩამოშლილი მთის ძირში ცხოვრობენ. ძალიან გთხოვთ, გონს მოეგოთ, აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ერთად შეიმუშავეთ სამოქმედო გეგმა. ვითხოვთ, ძალიან სწრაფად გამოვიყვანოთ მოსახლეობა სტიქიის ზონებიდან და მივცეთ მათ მშვიდად ცხოვრების შესაძლებლობა, - მიმართა მმართველ გუნდს დეპუტატმა გია აბულაძემ.

აღნიშნული განცხადებების შემდეგ ოპოზიციონერმა დეპუტატებმა პლენარული სხდომა პროტესტის ნიშნად დატოვეს და განაცხადეს, რომ მაშინ დაბრუნდებიან, როცა მოსახლეობის რეალურ პრობლემებზე ისაუბრებენ და არა მიხეილ სააკაშვილსა და მის პოლიტიკაზე.

საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარემ ოპოზიციონერი კოლეგების მოსაზრებებს, რომ, თითქოს, ვინმემ მიატოვა სტიქიის ზონაში მცხოვრები ან დაზარალებული მოსახლეობა, უსაფუძვლო უწოდა. მისივე თქმით, შესაბამისი უწყებები ყოველდღიურ რეჟიმში, მუხლჩაუხრელად მუშაობენ იმისათვის, რომ სტიქიის შედეგები დროულად აღმოიფხვრას.

- სტიქიის გააქტიურების პირველი წამებიდანვე, როგორც მთავრობის თავმჯდომარე, ასევე, უმაღლესი საბჭოს წევრები, მაჟორიტარები, მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები, გამგებლის რწმუნებულები, ყველა იქ ვიყავით. ვუყურებ, როგორ მუშაობს საგანგებო, საგზაო სამსახურები. მართლაც, ყოველდღიურ რეჟიმში, პრაქტიკულად, ტალახში დგანან ისინი და აკეთებენ თავიანთ საქმეს. ამის შემდეგ თქვა, არაფერი კეთდებაო, უბრალოდ, ძალიან უხერხულია, - უპასუხა კოლეგებს დავით გაბაიძემ.

როგორც აღვნიშნეთ, პლენარულ სხდომაზე დღის წესრიგით გათვალისწინებული ერთი საკითხი განიხილეს. დეპუტატებმა კენჭი უყარეს უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლის არჩევას საჯარო სამსახურის საბჭოში. მმართველი გუნდის დეპუტატების გადაწყვეტილებით, უმაღლესი საბჭოს წარმომადგენელი დავით გაბაიძე იქნება.

- ხაზს გავუსვამ, ეს არ არის რაიმე ანაზღაურებადი თანამდებობა, უბრალოდ, სხვადასხვა უწყების წარმომადგენლებთან ერთად უმაღლესი საბჭოს წარმომადგენელმა მონაწილეობა უნდა მიიღოს საჯარო სამსახურის საბჭოს საქმიანობაში. გარდა უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლისა, მის შემადგენლობაში შედიან პარლამენტის და მთავრობის, ასევე, სასამართლო ხელისუფლებისა და თვითმმართველობის წარმომადგენლები, - განმარტა უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ.

«აჭარაში» განთავსებული განცხადებების ღირებულება

სამგლოვიარო განცხადება: სიტყვა 30 თეთრი

ნეკროლოგი: სიტყვა 30 თეთრი



მილოცვა: სიტყვა 50 თეთრი

აუქციონები: სიტყვა 50 თეთრი

ფოტომილოცვა: ფოტო 5 ლ. სიტყვა 50 თ.

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

R
რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ფეროძის ქ. №2
ტელ: 27-13-31
აინყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 7/03/24, 17 [25] სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

# „არტ-ოდისეა“ – მოგზაურობა ხელოვნების ლაბირინთებში

ნანა აბულაძე 577 20 35 90

*„არტ-ოდისეა“ - ასე ჰქვია ჯგუფურ გამოფენას, რომელიც ხელოვნების მუზეუმის გალერეაში 29 თებერვალს გაიხსნა. ექსპოზიცია, რომელიც 50-მდე თანამედროვე მხატვრის სხვადასხვა ყანრსა და მასალაში შესრულებულ ნამუშევარს აერთიანებს, ორ ნაწილად გაიყო. იგი 10 მარტის ჩათვლით გაგრძელდება. დამთვალიერებელს ამ დროის განმავლობაში შეეძლება, გაეცნოს როგორც ცნობილი, ასევე, დამწყები მხატვრების შემოქმედებას, მიიღოს საინტერესო ემოციები მათ მიერ წარმოდგენილი მრავალფეროვანი ნამუშევრებისგან, რომელთა სათქმელი, ხშირ შემთხვევაში, ძალიან ინდივიდუალური და საინტერესოა*

აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მაია ხაჯიშვილმა მადლობა გადაუხადა მუზეუმის გუნდს საინტერესო ღონისძიებისათვის, რომლის მიზანი ხელოვანი ადამიანების მხარდაჭერაა.

- მუზეუმის გაერთიანება საინტერესო გამოფენით ხვდება გაზაფხულის შემობრძანებას. შეიძლება ითქვას, დღეიდან იწყება ახალი და საინტერესო მოგზაურობა ხელოვნების სივრცეში. მინდა, ყველა მხატვარს მივულოცო გამოფენის გახსნა, მასში მონაწილეობა და ძალიან ნაყოფიერი წელი ვუსურვო. სასიხარულო და საამაყოა, რომ ღვაწლმოსილ ხელოვანებთან ერთად, ძალიან ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა გვყავს, რომლებიც თავიანთ ღირსეულ სიტყვას ამბობენ ხელოვნების სხვადასხვა მიმართულებაში. სამინისტროს, აჭარის მთავრობის მხრიდან, ყოველთვის გექნებათ მხარდაჭერა, რათა მოგეცეთ თქვენი შინაგანი სამყაროს და სათქმელის გამოხატვის საშუალება, - თქვა მაია ხაჯიშვილმა.

საინტერესო ინიციატივების გაზიარებისა და თანადგომისთვის ხელოვნების მუზეუმის მმართველმა თენგო დოლიძემ მადლობა გადაუხადა აჭარის მუზეუმის დირექტორ თეონა ზოიძეს, ასევე, მინისტრს და აღნიშნა, რომ ისინი მათი მუდმივი მხარდამჭერები არიან.

- ძალიან ვამაყობთ, რომ მოვახერხეთ ამდენი მხატვარის ერთი იდეის ირგვლივ გაერთიანება და ბათუმელებს, ჩვენი ქალაქის ვიზიტორებს ასეთი მრავალფეროვანი და ჯადოსნური ექსპოზიცია შევთავაზეთ. წარმოდგენილი ნახატები მხატვრულად ღირებულია და ძალიან გვიხარია, რომ თამასა მაღლაა აწეული. ხელოვნების მუზეუმი მიმდინარე წლის განმავლობაში არაერთ მსგავს ჯგუფურ გამოფენას გამართავს, რომლის მთავარი მიზანი ხელოვნების სფეროში ჩართული როგორც ახალგაზრდა, ასევე შემდგარი მხატვრების პლატფორმის გაძლიერება, მათ შორის ეფექტური კომუნიკაციის დამყარება და საზოგადოებისთვის მრავალფეროვანი და კოლაბორაციული პროექტების შეთავაზებაა, - აღნიშნა თენგო დოლიძემ.

გამოფენაში პირველად მიიღო მონაწილეობა ბაჩუკი სულაბერიძემ. როგორც მან გვითხრა, 2 წლიდან ხატავს, ანუ - 17 წელია. ამდენად მისი შემოქმედება უკვე მზად არის ფართო აუდიტორიის წინაშე წარსადგენად.

- ნამუშევარს, რომელიც დღევანდელ გამოფენაზეა წარმოდგენილი, „მაესტრო“ ჰქვია. მიხარია, ასეთი მხატვრების გვერდით ჩემი ნახატიც რომ გამოიფინა. ძალიან ბევრს ნიშნავს ეს ჩემთვის. მხატვრისთვის ყველაზე დიდი ბედნიერებაა, როცა მის ნახატს საგამოფენო სივრცეში ათვალიერებს და აფასებს საზოგადოებრიობა. ჩემს ყველა ნახატს დამოუკიდებელი სიუჟეტი აქვს, რომელიც, რა თქმა უნდა, დამთვალიერებელმა თავად უნდა განავითაროს საკუთარ წარმოდგენაში. შეიძლება ითქვას, ჩემი შემოქმედების მთავარი მიზანია, დამთვალიერებელს საკუთარი თავი ვაპოვნინო ნახატში. ყველაზე ბედნიერი ვიქნები, ერთი ადამიანი მაინც თუ იგრძნობს თავს კომფორტულად, როდესაც ჩემს ნახატს შეხედავს, - გვითხრა ბაჩუკი სულაბერიძემ.

გამოფენაში მონაწილე ახალი თაობის ხელოვანები შეაქო მხატვარმა ზაზა ჯალაღანიამ. მისი თქმით, ნიჭიერი თაობა მოდის, რომელსაც შეეძლება თავისი ღირსეული სიტყვის თქმა როგორც ქვეყნის მასშტაბით, ასევე, მის ფარგლებს გარეთ.

მხატვრებს, გამოფენაზე დამსწრეთ, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მადლობა გადაუხადა სსიპ „აჭარის მუზეუმის“ დირექტორმა თეონა ზოიძემ და აღნიშნა, რომ რეგიონში არსებული მუზეუმები დღითი დღე მეტი ადამიანისთვის საინტერესო და ხშირად მოსანახულებელი სივრცე ხდება, რაც დაუღალავი და გუნდური მუშაობის შედეგია.

ღონისძიებაზე გაჟღერდა სასიამოვნო სიახლე - წელს ხელოვნების მუზეუმში გაკეთდება რემონტი, ასევე, სივრცეში გაჩნდება ახალი შესაძლებლობები გამოფენების მოსაწყობად.

# ნანა სტამბოლიშვილი – წლის საუკეთესო საერთაშორისო მსახიობი ქალი

## პირველი როლი და პირველი ჯილდო

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

*29 თებერვალს სტამბოლის სასტუმრო GREEN PARK hotel-ში წლის ერთ-ერთი პრესტიჟული დაჯილდოების საზეიმო ცერემონია გაიმართა, რომელზეც ქართველი მსახიობი, მოცეკვავე, დიზაინერი, ბათუმელი ნანა სტამბოლიშვილი წლის საუკეთესო საერთაშორისო მსახიობად აღიარეს და სპეციალური პრიზი საზეიმო ვითარებაში გადასცეს*

როგორც თურქული პრესა აღნიშნავს, ასეთ დაჯილდოებას ორგანიზატორები კარიერისა და ბრენდის პრესტიჟის ამაღლების მიზნით მართავენ. საღამო დაამშვენა წამყვანმა და მოდელმა შენოლ იპეკმა.

ნანა სტამბოლიშვილი თურქეთში 2022 წლიდან იმყოფება, სადაც თურქულ სერიალში „სხვისი შვილი“ მთავარ როლს ასრულებს (პირველ-მეორე სეზონში ქალის მთავარი როლის შემსრულებელი თურქი მსახიობი სილა თურქოღლუ იყო, რომელმაც სერიალი მოულოდნელად დატოვა).

ნანა სტამბოლიშვილის სამსახიობო დებიუტი წარმატებული რომ აღმოჩნდა, ეს ამ ჯილდოთიც დასტურდება. იგი „სხვისი შვილის“ („ემანეთის“) მესამე სეზონში სწორედ ძიძის როლის შესრულებისთვის დააჯილდოვეს. მასთან ერთად დაჯილდოვდა სერიალში პატარა იუსუფის როლის შემსრულებელი ბერატ რუზგარ ოზკანი, ბავშვის როლის საუკეთესო შესრულებისთვის. მამაკაცის როლის საუკეთესო შემსრულებლად ნანას ეკრანული პარტნიორი, მსახიობი, მომღერალი - თურქეთის „ოქროს ხმა“, მოდელი

და კომპოზიტორი ჰალილ იბრაჰიმ ჯეიჰანი (იგი დაჯილდოების ცერემონიას ვერ დაესწრო ახალ სერიალში გადაღებების გამო) აღიარეს.

როგორც ნანა სტამბოლიშვილმა გვითხრა, პრიზის გადაცემის დროს ღელავდა, რადგან მისთვის ასეთი პრესტიჟული დაჯილდოება პირველი იყო (და თანაც ის პირველი მიიწვიეს ჯილდოს მისაღებად). ვისაც საშუალება მოგვეცა გვენახა და მოგვესმინა ეს სიტყვა, შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ნანუკას მღელვარება მისმა სილამაზემ გადაფარა.... ელეგანტურ სამოსში გამოწყობილმა ქართველმა მსახიობმა ჯილდოს მისაღებად ამაყად გაიარა ხალიჩაზე. ნანა რომ სულით და გულით ქართველია, ამაში კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, როცა აუდიტორიას ქართული „გამარჯობით“ მიმართა და თავისი სიტყვა „მადლობით“ დაასრულა. აქვე ვიტყვით, რომ ნანა სტამბოლიშვილი ყველანაირად ცდილობს მისი ქვეყნის საუკეთესოდ წარმოჩენას - სერიალში არაერთხელ ვიხილეთ მისი შესრულებით ქართული ცეკვა, სიმღერა, მისი მომზადებული ქართული კერძი... მთავარ გმირს - იამან-იაბანს, როგორც მას მისი ეკრანული მეწყვილე ნანა-მარიამი ეძახდა, სიყვარულიც კი ქართულად აახსნევინა. მეოთხე სეზონში ნანუკას ეკრანულ პარტნიორობას წარმოშობით ალბანელი, პროფესიონალი მსახიობი, მამაკაცის როლის საუკეთესოდ შესრულებისთვის რამდენიმე ჯილდოს მფლობელი ნიკ ჯელილაი უწევს (ნიკი 8 წლიდან როგორც სტამბოლში, ისე ბერლინში ცხოვრობს, ფლობს 7 ენას).

სერიალ „სხვისი შვილის“ მეოთხე სეზონის გადაღებები მაისის დასაწყისამდე გაგრძელდება... სამომავლო გეგმები ჯერ არ ცხადდება.

ვულოცავთ ნანა სტამბოლიშვილს უცხოეთში - თურქეთის უდიდეს კინოინდუსტრიაში მიღებულ პირველ სერიოზულ ჯილდოს. გამარჯვებები ყოფილიყოს ამ ულამაზესი, ნიჭიერი, გამორჩეულად შრომისმოყვარე, სიკეთითა და სიყვარულით სავსე გოგონას მეგზური, კიდევ არაერთხელ გავეხარებინოთ ახალი წარმატებებით.